პროლეტარიელო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 30 ივნისი, 1951 წ. № 152 (9006). ფასი 20 კაპ.

ДЕС ГАЗЕТИШИ

გავაუმჯობესოთ პარტიული მუშაობის მეთოდები—„პრავდის“ 29/VI მოწონავე (1-ლი გვერდი).

ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომების გამოსვლის წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში (1-ლი გვერდი).

„პრავდის“ რედაქციის პასუხი ბ-ნ მორისონისადმი (1-ლი გვერდი).

სამუშაროთა წარმატებათა სიმღერის საუბარი (მე-2 გვერდი).

ნ. ბასლოვი — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა (მე-2 და მე-3 გვერდი).

საბჭოთა სასპორტო ავიაციის ახალი წარმატებანი (მე-2 გვერდი).

დოცენტი ი. დოლიძე პარის კიბეზელი (მე-3 გვერდი).

ბოსტანის ალები მეცხრე შეადგინეს (მე-3 გვერდი).

ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაცია (მე-4 გვერდი).

კოლეის ამბები (მე-4 გვერდი).

ამერიკის პრესა ი. ბ. სტალინის განცხადების შესახებ (მე-4 გვერდი).

გავაუმჯობესოთ პარტიული მუშაობის მეთოდები

კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ ეძებენ ახალ-ახალ მოცალმხრივი მოდელებურობის მეთოდებს. ამორიცეულებენ ინ პარტიულ-პოლიტიკური სადგურებისაკენ მობრუნებებს, ისინი ძალიერებენ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობის მასებში, რაზმავენ ხალხთა ადამიანებს სახელმწიფოო ცხოვრებათა ძალიანად და გადაჭარბებთან შესრულებისათვის.

ბოლშევიკური პარტია თავის კადრებს, ყველა კომუნისტს ზრდის პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, მუშაობაში მაღალი მოთხოვნელობისა და ნაკლოვანებებისადმი შეუბოვარ პარტიულ ორგანობის მოელ პოლიტიკური და ორგანიზატორულ მუშაობა ექვემდებარება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ინტერესებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი პარტიული ორგანობის როლის შემდგომ ამაღლებას სამეფნეო და ეკონომიურ მშენებლობისადმი ხელძღვანელობაში. ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანობის მუშაობა განუწყვეტლივ უმჯობესდება. ადგილობრივი პარტიული ორგანობის მუშაკები წარმატებით ეუფლებიან პარტიული ხელმძღვანელობის ხელოვნებას, მთელ ძალღონეზეა ყოფნის ანარქი სოციალისტური ეკონომიკის განვითარებისა და შრომითელთა კეთილმესტური ალზრდის საქმეს. ამასთან ერთად, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა დარეულებულებში ვამჩნევდნენ პარტიულთა ორგანიზერებიებმა დაგვიანებეა, ბეერი პარტიული კომიტეტის მუშაობის პრაქტიკაში ბოლის ირსებითი ნაკლოვანებანი.

ადგილობრივი პარტიული ორგანობის მოღვაწეობაში მთავარია პოლიტიკური და ორგანიზატორიული მუშაობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ამავე დროის ცალკეული სოფლენი, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ყოველთვის სწორად როდი ასაბუნენ პოლიტიკურ და საეკონომიურ მუშაობას. სამეფნეო და საეკონომიო ორგანობის განმტკიცების ნაცვლად პარტიული კომიტეტები ზნირად მათი შეცვლის გზას ადგებიან, ცალკეული პარტიული აპარატის ძალებით გადაწყვეტინენ მრავალი კონკრეტული სამეფნეო საქმე. ასეთი პრაქტიკა სერიოზულ ზიანს აყენებს როგორც პარტიულ, ისე სამეფნეო მუშაობას.

ჩვენნი ჯერ კიდევ ბევრან სასხდომნი ფუსფუსით და ქაღალდებს წერით გადაცემულია პარტიული მუშაკები, რომელნიც არ ზრუნავენ პარტიულ ორგანიზაციებთან, მნიშვნელოვანი ფორმა მასებთან ცოცხალი კავშირის განმტკიცებისათვის. ასეთ მუშაკებს არ შეუძლიათ ზედიზედ ეცოდინონ საქმის ვადგმარეობა ადგილებზე, ეროზე ბა მოამეცოვნონ ნაკლოვანებანი და მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის.

როგორც, შემოწმებამ გვიჩვენა, პარტიის კალინინის სოფლენ კომიტეტის მუშაობანი სერიოზული ნაკლოვანებანია. სოფლენ კომიტეტი, რომელიც უმთავრესად მიმდინარე სამეურნეო საკითხების გადაჭრას ეუნდა, უყურადღებოდ სტოვებს პარტიულ ხელმძღვანელობის ისეთ დიდნაშვნელოვან ამოცანებს, როგორიცაა სახელმწიფო და სამეფნეო აპარატის მუშაობისადმი კონტროლი, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, კადრების შერჩევა და ბოლშევიკური აღზრდა, მთასმრივ-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაცია. სოფლენ კომიტეტისა და მის გასაოფილებათა მუშაობაში არ არის პარტიული, სამეფნეო ორგანიზებისა და ხელმძღვანელი კადრებისადმი ჯეროვანი მოთხოვნელობა დაკისრებული საქმისათვის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებისათვის. ცოცხალი ხელმძღვანელობა შეცალილია კანცელარიეული, ბეტად გატაცებული ბრიან მრავალ, მაგრამ ცოტა ხელ ბოლშევიკურ ამოცანებ.

კადრებისადმი მაღალი მოთხოვნელობისა და შესაბამებლის შემოწმების ეფექტურ ფორმად სერიოზულად სახელმწიფოებრივი ფილიალისა სოფლენ და რაიონულ ორგანიზაციებში და გამოიწვია ის, რომ პარტიის რაიკომები ბევრ შემთხვევაში ა"ბრალმა ალარ უწევენ სოფლენ კომიტეტებს და არ ეუფლებენ ანგარიშს პარტიის სოფლენ კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ.

პარტიული მუშაობა ცოცხალ, ფემოქმედებითი მუშაობაა. პარტიული მუშაკი მასების პოლიტიკური ხელმძღვანელი, ორგანიზატორი და აღზრდელია. მისი პირადპირი მოვალეობაა იძლეოდეს პარტიული, სახელმწიფოებრივი და ზრნმნის დისციპლინის დაცვის მაგალითს და ამ სულისკვეთებით ზრდდეს მთელ ჩვენს კადრებს, ყველგან და ყველაფერში იჩენდეს ინიციატივას, ფრთხე ამჩნევდეს და ბრალს უპერდეს ყოველივე ახალს, მოწონავეს, პროგრესულს, განაზოგადებდეს და ავრცელებდეს პარტიულ მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას.

სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ნაკლებად. ზრუნავს თავისი მუშაობის მეთოდების განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის. ავიღოთ, ბაკალინადა, საყვარელო ო. კ. (ბ) ბრიანსკის ოლქის კლინცის საქალაქო კომიტეტი. იგი ცოტა გადაწყვეტილას ოოდი ილებს სამრეწველო საწარმოთა მუშაობის, ზრუნავს სტაბანოვური მეთოდების გავრცელების შესახებ. მაგრამ ცუდია ის, რომ საქალაქო კომიტეტი არ ინორიცელებს თავის გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატიურ შემოწმებას... ამ ეფექტნელეოოანეს საქმისათვის ამ ბრავიდ ზრუნავს — არც საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამბ. სემიონოვი, არც საქალაქო კომიტეტის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. უკანასკნელი წლისბაეგრის განმავლობაში საქალაქო კომიტეტის ბიუროს ბრიგადრმა მოსთხოვა პარტიულ ორგანიზაციებს ანგარიში თავის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. ამავე პერიოდში ნაკლებ ყურადღებას მუშაობა. უკანასკნელი წლისაბეგებელი ბიუროს ბრიგადრმა მოსთხოვა პარტიულ ორგანიზაციებს ანგარიში თავის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. ამავე პერიოდში ნაკლებ ყურადღებას მუშაობა. ეკონომიკურ ეკონომიკის ბიუროს ბრიგადრმა ბოსტნოვა პარტიულ ორგანიზაციებს ანგარიში თავის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. ამავე პერიოდში ნაკლებ ყურადღებას ეუნდა ეს ორგანიზაციებში, საქალაქო კომიტეტმა არ იეცის.

ნაკლები ღონე ხარჯოს სხდომებზე და ყოველგვარი ცნობების, მოხსენებანი ბარათების შეგეგანზე, მეტი ღონე მოანდომოს ცოცხალ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მასებში, ძირეული კადრებისათვის დაზმარების გაწევას — ასეთია მოთხოვნა თვითეული პარტიული კომიტეტისადმი, თვითეული პარტიული მუშაკისადმი.

სწორად ხელმძღვანელობა იმას ნიშნავს, რომ ღრმად ჩაეწვნდეთ საწარმოებს, კოლმეურნეობებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებს, დაწესებულებებსა და სასწავლებლებს საქმეებს, მოგეთათბიროთ მასებს, გულისხმიერად დაეუგდოთ ყური ქვემოდან მოდინარე კრიტიკას. პარტიული მუშაკი მეტნენ დროს უნდა ატარებდეს მასებში, იქ, სადაც წყდება ყველა ჩვენი გეგმის და ღონისძიების ბედი.

დაჯერების მეთოდი ძირითადი მეთოდი პარტიულ მუშაობაში. თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული პარტიული ხელმძღვანელის მოკალეობა ყოველდღიურად უწევდეს პოლიტიკურ მუშაობას მასებში, ბრიგენელეობთან ზრდიდეს და აწრთობდეს ბრძოლაში ადამიანებს. მაგრამ პარტიულ მუშაკებს ბორის ჯერ კიდევ მოიპოვებან ბრძანებათა და განკარგულებათა საშუალებით ხელმძღვანელობის მოყვანილნი. ასალგზრდა მუშაკისათვის რჩევის მიცემისა და დაბრძანების გაწევის ნაცვლად ისინი ზოგჯერ მიმართავენ დატუქსვას, სასაყლის დადებას. ასეთ მუშაკთა რიცხეს შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად, თათოვის ასს რესპუბლიკის პარტიის კიბიაეის რაიკომის მდივანი ამბ. სადეკოვი. პოლიტიკური ხელმძღვანელოდან ეს მდივანი არსებითად გადაიქცა ცუდ ადმინისტრატორად, იგი კი არ ხელმძღვანელობს, არამედ მბრძანებლობს. ყოველგვარი საბაბით, ხოლო ზოგჯერ უსაბაბოდაც რაიკომის მდივანი ბიუროს სხდომაზე ეგინოთ რაიონის ბიუროს სხდომაზე ეგინოთ ბრალდებს ხოლმე კომეხნილებს და მეკაცრი სასაყლის დადებით ემუქრება მათ. იგი ანგარიშს არ უწევს რაიკომის ბიუროს წევრთა აზრს, არეულეს კოლეგიალობას. ყოველივე ამას სამოდოო ანგარიშით მოაყვა პარტიული მუშაობის შესახებ რაიონში.

ამისათვის, რომ წარმატებით გადაეჭრათ ამა თუ იმ პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასაბარი ამოცანები, საჭირო მიეკიდნოთ პარტიული კომიტეტის მიზანდასახულ, შეწყობილ მუშაობას, მასებთან მისი კავშირის განმტკიცებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ყოველი საქმის წარმატებას წყვეტენ ადამიანები, კადრები. ჩვენმა პარტიამ აღზარდა პარტიული მუშაკთა შესანიშნავი კადრები. მათი რიგები განუწყვეტლივ ივსება. ამოცანა ის არის, რომ დაეუმეხარეთ ამ კადრებს მაღე დაეუფლონ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნებას, შეგეთანაღლთ ისინი მარქსიზმ-ენინიზმის თეორიით, გავამდიდროთ პარტიული მუშაობის გამოცდილებით. საჭიროა ათეზარდოთ პარტიული კადრები პრაქტიკის ბოლშევიკური კრიტიკის და თვითკრიტიკის ვითარებაში, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მთელი პარტიული მუშაობის დონის ამაღლებით, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი მოღვაწეობის მეთოდების გაუმჯობესებით, ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო ბამალოდენ ეუფლებიან ეროვნულ ეკონომიკური ალზრდის ამოცანების შესრულებაში.

„პრავდის“ 29-VI მოწონავე

ქინლიკოვოდაში. მოხდენილი და ელეგანტურობით ნარჩენის ქალაქი ახალ სასაფეხელ ხეზონში. ბინ ქალებზე ბევრი ტრიკოტაჟი მეცნარე და სხვ. სუნაბუნ: სტალინის სახელობის პროსპექტი ალმეოოდან. ფოტო ვ. ბოდეკინისა (საკავშირო ფოტოტრანსა)

ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომების გამოსვლის წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში

28 ივნისს გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, მიძღვნილი ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის გამოსვლის წლისთავისადმი. სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების, ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ვ. ვ. ვინოგრადოვმა, რომელმაც განაცხადა:

ოოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გენიალურმა შრომამ „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ახალი ეპოქა დაიწყო საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებაში. ეს შრომა მარქსისტული ენათმეცნიერების დროშაა. მასში მოცემულია ნამდვილად მეცნიერული მარქსისტული ლენგვისტიკური თეორიის საფუძვლები და გარკვეულია საბჭოთა ენათმეცნიერების ამოცანები და პრინციპები.

მოხსენება „საბჭოთა ენათმეცნიერების ამოცანები და ძირითადი პრობლემები ენის შესახებ სტალინური მოძღვრების მიხედვით“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. ს. ჩიქობავამ. მოსმენილ იქნა აგრეთვე ფიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის თ. ს. მარაძეჩინის მოხსენება — „ენათა დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესები ი. ბ. სტალინის მოძღვრების საფუძველზე“.

სხელ სხდომაზე, რომელიც რამდენიმე დღეს გასტანს, მოსმენილი და განხილული იქნება 12 მოხსენება. (საკავშირო).

სამოქალაქო ომის გმირის ვ. ი. ჩაპაევისა და საბჭოთა კავშირის მარშალის თ. ი. ჯოლბუხინის ხსოვნისათვის

27 ივნისს, მოსკოვში, მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემის შენობაზე, გაიხსნა სამოქალაქო ომის გმირის ვ. ი. ჩაპაევისა და საბჭოთა კავშირის მარშალის თ. ი. ტოლბუხინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფები.

მოდგახმე აკადემიის შენობის წინ, რომელშიც უმაღლესი სამხედრო გაწათლება ძიელო ორივე ბელმოსანი სარდალმა, ჩამწკრივდნენ თავიანთი ფრონტების აკადემიის მსმენელები, პროფესორ-მასწავლებლები და მუშაკნი შუამავალნლობა. მემორიალური დაფების გახსნის ზეიმს დაესწრო ალრეთვე დდაქალაქის მრავალი მშრომელი.

სიტყვები წარმოთქვეს გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ს. ყადოვმა, გენერალ-ლეიტენანტმა მ. ფ. ტიხონოვმა, პოლკოვნიკმა ი. ნ. სეემენკომ. მათ ილაპარაკეს შესანიშნავი სამეფნოო ოფიცრების ბიეროს სხდომაზე გაკეთებული ბრალდებანი. შეწყობილ ბრიგადებ ბიეროს ოფიცრებ ბრალ-ბრალ ნებლიდა. ყოველგვარი საბაბით, ხოლო ზოგჯერ უსაბაბოდაც რაიკომის მდივანი ბიეროს სხდომაზე გაკეთებული ბრალდებანი ეშმაკურად ეროზე ნიეს და ზეიმურად მამაცობაზე.

ვასილ ივანეს-ძე ჩაპაევი იყო არა მარტო მამაცი ბეთაური, იგი ამასთანავე, დიალექტიკური ალზრ. ალ. ამასთანავე ნიჭით სამხედრო ხელოვნების დარგში. თვალდრე ივანეს-ძე ტოლბუხინი სტალინური ხელოვნების სარდალია. დიდი სამამული ომის წლებში მარშალი ტოლბუხინი ფრონტების უმნიშვნელოვანეს უბნებზე იყო. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ჯარები ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევდნენ.

გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ს. ყადოვმა ანადა ტელი, რომელიც ფარავდა ერთ-ერთ მემორიალურ დაფას. ამ დაფაზე, საბჭოთა ლეგენდარული სარდლის ბრინჯაოს ბარელიეფის ქვეშ თეთრ მარმარილოზე ოქროს ასოებით წარწერილია:

სამოქალაქო ომის გმირი ვასილ ივანეს-ძე ჩაპაევი

1918-1919 წლებში სწავლობდა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში.

შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ს. ყადოვმა ანადა მეორე სიფარი. შეაჩერა ბინა ბრინჯაოს პორტრეტ და წარწერა:

საბჭოთა კავშირის მარშალი თევდორ ივანეს-ძე ტოლბუხინი.

დაამთავრა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია 1934 წელს.

მემორიალური დაფების გახსნის შემდეგ გაიმართა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის აკადემიის მსმენელებისა და პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობის საზეიმო მარში. (საკავშირო).

ჯეღის ქვანახშირის კომბინატმა შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

ტულა, 28 ივნისი. (საკავშირო). ტულის ქვანახშირის კომბინატის მაღარიელები ინრძვიან წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

დღეს კომბინატის კოლეკტივმა ვადამდე დაამთავრა სათობის ამოცანის ნახევარი წლის გეგმა. ქვანახშირის საშუალო დღღეღაბისო ამოიღეს, გასულ წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 8 პროცენტით, ეფექტიანობა ამაღლდა ბრიგადის მუშის შრომის ნაყოფიერება — 10 პროცენტით. 5 თვის განმავლობაში ამოღებული სათობის თვითღირებულების შემცირებით კომბინატმა მიიღო ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

მარნეული რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის ბადმეტებით სახელმწიფოს ჩაბარონ 10.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი

მარნეულის რაიონის კოლეკტიურნეობებმა და კოლმეურნეებმა 27 ივნისათვის 101,6 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო გამოკვების აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით მარნეულის რაიონის მეფეინეთა ამბ. **სანინაძე** და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამბ. **კოჯაევი** ატყობინებენ, რომ რაიონის კოლეკტიურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარონ 10.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

„პრავდის“ რედაქციის პასუხი ბ-ნ მორისონისადმი

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერტრენტ მორისონმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა პრეს ასოშიეიშნის საგაზეთმი გამართულ ბანკეტზე, ეს საბაბი შესაფერისად მიიჩნია მორიგი განთქმოდნებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გითოველსწინა რა აუდიტორიის შემადგენლობა, ორატორმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პრესასაც, განსაკუთრებით „პრავდას“, რომელსაც თავს დაატეხა თავისი ბრალდებანი.

ჩვენ სამართლიანობას არ გამოვიჩენდით, თუ ეიტყოდით, რომ ზემოთ ალნიშნულნი საბაბი ერთადერთი იყო, რომელიც ბ-ნმა მორისონმა ანტისაბჭოთა ვამოძახილებისათვის გამოიყენა. ვამოცდილება გვიჩვენებს, რომ ლეიბორისტები მინისტრები ყოველ თავიანთ გამოსვლაში მიმართავენ ბრალგონილ და ბორიტ ბრალდებებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგალითების მოყვანა ძნელი არ არის: სულ სამი ფლიდ ადრე ბ-ნ მორისონის გამოსვლამდე, რომელიც სავსე იყო უხეში თავდასხმებით სსრ კავშირზე, ინგლისის ეკონომიკის მინისტრმა შოუკროსმა წარმოთქვა სსრ კავშირის წინააღმდეგ გამოხდილებით ლოსავსე სიტყვა, ხოლო პრეს ასოშიეიშნის საგაზეთში გამართული საუზმის ორი დღის შემოეკ თეთრ ბ-ნი მორისონი გამოვიდა ლიდსში მაღარიელთა ეროვნული პროფკავშირის მიერ გამართულ სადილზე და შესაძლებელ ჩათვალა გაიმეორებინა თავისი ანტისაბჭოთა გამოხდილები.

ლეიბორისტები ლიდერებისა და მინისტრების ანტისაბჭოთა გამოსვლების განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ ეს გამოსვლები უსაფუძვლო, დაუსაბუთობელია. და თუ ჩვენ ბ-ნ მორისონის ამსწორნდელ სიტყვას ვეხებით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ორატორმა ამ სიტყვაში სცადა „დაესაბუთებინა“ თავისი ბრალდებები და პრეტენზიები საბჭოთა კავშირის, კერძოდ საბჭოთა პრესის მიმართ, და ბ-ნ მორისონის ბრალი კი არ არის, რომ მიდ მისი უბედურებაა, რომ მან მარცხი განიცადა, რადგან ცდა კი იყო, მაგრამ ამ ცდის საშუალებანი ამკარად უვარგისი აღმოჩნდა.

მართლაც, ბატონ მორისონს, შოუკროსისა და ლეიბორისტთა სხვა ლიდერების სიტყვებს რომ კითხულობ, ბელია გიოგო, საბჭოთა ხალხს მიმართ რა „მეგობრული“ გამოსვლებზე ლაპარაკობს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი, როცა ბრალს სდებს საბჭოთა ქვეყნის ამაში, რომ იგი ამ სიტყვებს არ აქვეყნებს. ფაქტები სხვას მოწმობენ — სიტყვები და გამოსვლები, რომლებიც მოიწერებენ ინგლისისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის მეგობრული თანამშრომლობისაკენ, უთოოდ ებეკვდება საბჭოთა პრესაში. მათი ნახვა ყოველთვის შეუძლია საბჭოთა პრესაში ყოველ მკითხველს.

ასე მათილება ბ-ნ მორისონის პირველი ბრალდება.

ასევე უნიადაგოა მისი მეორე ბრალდებაც, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა პრესა თითქოს საკმაოდ არ აწყდება მკითხველის ინფორმაციას დასაელეთის სახელმწიფოთა რელს შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილთა ბარიის თათბირზე. კერძოდ, ბ-ნი მორისონი უკმაყოფილია იმით, რომ ბეკისმეტად მოკლედ გაუქმდა დასაელეთის სახელმწიფოთა 31 მაისის ნოტა, მაშინ როცა საბჭოთა პასუხი მთლიანად გამოქეყნდა.

ბ-ნი მორისონი საბჭოთა პრესას უსინდისიერებს ინგლისურ პრესას. ეს დასაბრალებრება ბ-ნ მორისონს მარცხის ბეტს ვერაფერს მოუტანს. ჯერ აღვანიშნოთ, რომ, მაგალითად, სსრ კავშირის წარმ-ბლდგენლს ა. გრომიკოს ისეთი მნიშვნელოვანი გამოსვლა, როგორიცაა მისი 10 მაისის განცხადება, **სრულებით არ** გამოქვეყნებულა ისეთ გაკვნილან ინგლისურ გაზეთში, როგორიცაა „ტაიმსი“.

რა თქმა უნდა, ბ-ნ მორისონს შეუძლია თქვას, მე გაზეთ „ტაიმსის“ უფროსი არა ვარო. არ შეეფიდვებით. მაგრამ ვინმეთ, როგორ იქცევა გაზეთი „დელი ჰერალდი“, ცენტრალური ორგანო ლეიბორისტული პარტიისა, რომლის ერთ-ერთი ლიდერია ბ-ნი მორისონი, მაშინ როცა საბჭოთა პრესაში ყოველდღე ეკ ზუსტად ქვეყნდებოდა ანგარიში პარიზის თათბირის შესახებ, გაზეთ „დელი ჰერალდის“ ფურცლებზე არათუ დღეეეის, არამედ ეკრეკეეის გამჩვალობაში პატარა შენიშვნაც კი არ ქვეყნდებოდა პარიზის მოლაპარაკების შესახებ. ხოლო იმაზე, თუ როგორ აქვეყნებდა „დელი ჰერალდი“ ინფორმაციას საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ, შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი ფაქტის მიხედვით. საბჭოთა მთავრობის პასუხში და საველთის ხახელმწიფოთა 31 მაისის ნოტებზე ბაზაანაშული იყო საბჭოთა მთავრობის მზადყოფნა დაუყოვნებლივ გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე ვაშინგტონში, როგორც კი პარიზის თათბირი დადებითად დადაწყვეტდა იმ საკითხს, რომ ლიის წესრიგში შეეთანხმებელი პუნქტის სახით შეეტანათ საბჭოთა წინადადება ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბჭოური ბაზების შესახებ. როგორ თუშა ინგლისელ მკითხველს ასეთი დიფმნშენელოვანი ცნობა „დელი ჰერალდმა“? საბჭოთა ნოტის სრული ტექსტი გაზეთს არ დუბეჭდავს. ხოლო სათაური, რომელთაც გაზეთმა ეს ცნობა მოათავსა, ასეთი იყო: „გრომიკოო კვლავ „არა“-ს ეუბნება დასაელთი სახელმწიფოებს“. ტექსტში კი „დელი ჰერალდმა“ ფაქტები დაამახინჯა და წერდა, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს წინააღმდეგია საკარო სამეფნეო ინსტიტუტების ბოიკოტისა?!

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება პარიზის თათბირის შესახებ ინფორმაციის მხრივ.

ბ-ნ მორისონს სიტყვა შეეცავდა, როგორც ზემოთ უკვე ალენიშნეთ, არა მარტო ბრალდებებს, არამედ ზოგიერთი პრეტენზიასაც, რაც იმას მოწმობს, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, შესაძლოა, ამერიკულად აზრონენებისადმი თავისი მიდრეკილების გამო, დაკარგა იგნორისელი ენერგიისაგან ესოდენ დამახასიათებელი ზომიერების გრძნობა. ბ-ნი მორისონი ჩიეის, რომ როცა საბჭოთა მთავრობის მეთოდი ი. ბ. სტალინი ინტერვიუს აძლევენ ბინ ეუბნებენ ეს ეუბნებენ, ეს უკანასკნელი მას ბეკვაეს ადიდი სათაურით, ყველაზე თვალსაჩინო ადგილს, მთავარ გვერდზე. მის, მორისონის, ან ბევიმერ-მინისტერ ეტლის გამოსვლებს კი საბჭოთა პრესა უსაფლისოდ აქვეყნებს. ამა რა ვეფთრით ბ-ნ მორისონს ამაზე?

ფაქტების ლოგიკა ყველაზე ძლიერი ლოგიკაა. ფაქტები კი ისეთია, რომ ი. ბ. სტალინის გამოსვლებს ყურს უგდებს მთელი მსოფლიო, ამ გამოსვლებში ხალხები ხედავენ მომავალის ნათელ იმედს, მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებას. უცხოელის ბერტენ ბერტენ პრესის, მათ მორის ინგლისურსაც, არ შეეძლია არ გამოაქვეყნოს ი. ბ. სტალინის გამოსვლები, იმიტომ რომ ამას მკითხველი მოითხოვს. მკითხველს სურს იცოდეს ამ გამოსვლების შინაარსი. ამასთან ინგლისური გაზეთების გამომეცემლები ეკიბილად ანგარიშს ეუწევენ იმ გარეგნობას, რომ ინგლისური გაზეთების ტირაჟი, რომლებშიც ი. ბ. სტალინის სიტყვები ბეიეზდა, მკვეთრად მატულობს, და დამატებით შემოსავალს ძლევენ. ხოლო საბჭოთა პრესის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა გაზეთებში ბ-ნ მორისონის სიტყვის მსგავს განცხადებათა გამოქვეყნება ყოველთვის იწვევს ტირაჟისა და შემოსავლის შემცირებას. ეს გასაგებიცაა: საბჭოთა მკითხველი უარყოფითად ეკიდება ისეთ მასალებს, რომლებიც ეუსამართლო ბ-ნ მორისონს შეიცავენ, ნაცვლად საერთაშორისო ვითარების მართალი და სერიოზული ანალიზისა.

ბატონმა მორისონმა თავის სიტყვაში სერიოზული გამოთქვა, რომ „პრავდამ“ თავისი ფურცლები დაუთმოს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის სპეციალურ ინტერვიუს. ამასთან მას სურს, რომ მისი სიტყვები ჩვენს გაზეთში ზუსტად და თვალსაჩინო ადგილს დაიბეჭდოს. თავის სიტყვაში მან ეკითხა — როგორია „პრავდის“ აზრი ამის თაობაზე?

რას იზამ, „პრავდა“ მზად არის დაეთმოს ადგილი ბ-ნ მორისონის გამოსვლას, რომელიც უთუოდ ზუსტად და სრულად დაიბეჭდება. მაგრამ, თავისთავად ცხადია, ნაცვლადაც საფუძველზე. რა თქმა უნდა, „პრავდის“ ტირაჟს ამით ზიანი მოუვა, მაგრამ „პრავდა“ მზად არის ბეიღოს ეს მსხვერპლი.

„პრავდის“ რედაქციას სურს დარწმუნებულები იყოს, რომ მისი პასუხი ბ-ნ მორისონის გამოსვლაზე ასევე ზუსტად და ასევე თვალსაჩინო ადგილს გამოქვეყნეიენა ინგლისურ პრესაში.

ბაშ ეს, როგორია ბ-ნ მორისონის აზრი ამის თაობაზე?

„პრავდა“ 28/VI

საპაერო ფლოტის დღის ღღესასწაული

საპაერო ფლოტის დღის ღღესასწაული გაიმართება კვირას, 1951 წლის 1 ივლისს, დილის 11 საათზე ტუშინის აეროდრომზე. (საკავშირო).

პარტიული ცხოვრება

სამეურნეო წარმატებათა სიმტკიცის საფუძველი

ლამაზ ხეობაში, მთის ფერდობებზე მდებარეობს გუდამაყრის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა, ყველაზე მსხვილი კოლმეურნეობა დუშეთის რაიონში. შესანიშნავი ალპური საძოვრები და პირუტყვის მოვლა-პატრონობის დიდი გამოცდილება, რაც გუდამაყრელებს ძველთაგანვე მოსდევთ, კარგ პირობებს ქმნის მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

წლითიწლობით მშვენიერდება და სახეს იცვლის მთის შორეული სოფელი, მტკიცდება კოლმეურნეობის ეკონომიკა, იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი, შემოქმედებითს შრომაში იზრდებიან ადამიანები.

მშობლიური სოფლის წინსვლისა და აყვავების საქმეში დიდ როლს ასრულებს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. იგი უნარიანად წარმართავს კოლმეურნეთა ნებისყოფას საერთო საქმისაკენ, სწორად იყენებს კონკრეტულ მდგომარეობასთან შესაფერ პარტიული მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს. პარტიული ბიუროს მდივანია ახალგაზრდა მაიელი ილია ბექაური. მას კარგად აქვს შეგნებული, რომ სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა პირველ რიგში დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე.

პარტიული ორგანიზაცია მუდამ ზრუნავს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად. კომუნისტი აგიტატორები ესაუბრებიან მეცხოველეებს მათ მოვალეობაზე სამშობლოს წინაშე, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობაზე. კარგად მუშაობენ აგიტატორები ზოოტექნიკოსი ი. ყველაიძე, მეძროხეობის ფერმის გამგე ს. აფციაური, გ. ბექაური, ი. ბექაური და სხვები.

კოლმეურნეთა კომუნისტურ აღზრდას ემსახურება საკოლმეურნეო კლუბი. აქ ხშირად უჩვენებენ კინოსურათებს, მართავენ ლექცია-მოხსენებებს, გამოდის კედლის გაზეთი „მეცხოველეობის აღმავლობისათვის" (რედაქტორი ვ. წიკლაური). გაზეთი აშუქებს მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებას, ამხელს ნაკლოვანებებს.

პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე ხშირად მსჯელობენ საააგიტაციო-მასობრივი და პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე, გამოაქვთ კონკრეტული დადგენილებები და ასრულებენ მათ.

კომუნისტების ინიციატივით ყველა ფერმაში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. გამგეობისა და პარტორგანიზაციის მიერ დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშა შეჯიბრებაში გამარჯვებული ბრიგადისათვის.

კარგად დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა, მრავალმა მწყემსმა და მწველავმა მიაღწია პირუტყვის ნამატის მიღებისა და პროდუქტიულობის გადიდების შესანიშნავ მაჩვენებლებს.

გუდამაყრელებს მსხვილი სასოფლო-სამეურნეო არტელი აქვთ. საკმარისია ითქვას, რომ მათ ორმოცდასამ ათასზე მეტი ცხვარი ჰყავთ. კოლმეურნეობაში მეცხვარეობის გარდა არის მეძროხეობის და მეფუტკრეობის ფერმები.

პარტიული ორგანიზაცია ყურადღებას აქცევს საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა მხარეს. კომუნისტები განუწყვეტლივ ზრუნავენ საარტელო მეურნეობის აყვავებისათვის, კოლმეურნეობის ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცებისათვის. კომუნისტების სწორად განაწილებითა და მათი ავანგარდული როლის ამაღლებით პარტორგანიზაცია განუხრელად აძლიერებს თავის გავლენას მასებში.

ორგანიზაციაში პარტიის ოცდაერთი წევრი და პარტიის წევრობის ორი კანდიდატია. გამგეობასთან შეთანხმებით ისინი პარტორგანიზაციამ სამუშაოდ გადამწყვეტ უბნებზე გაგზავნა. კომუნისტები არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. პაპაშვილი და მისი მოადგილე ს. ბიბილაშვილი. მეცხვარეობის ერთ-ერთ ბრიგადას ხელმძღვანელობს პარტიის წევრი ი. ჩოხელი, მეძროხეობის ფერმას სათავეში უდგას კომუნისტი ს. აფციაური, ამავე ფერმაში ბრიგადირია კომუნისტი გ. ბექაური. კომუნისტი ი. წიკლაური მეცხენეობის ფერმის გამგეა. კომუნისტები ლევან და არსენ წიკლაურები რიგითი მწყემსები არიან. კომუნისტები მუშაობენ აგრეთვე ყველა დანარჩენ ფერმაში. ისინი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ უპარტიოებს ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

პარტიული ბიურო სისტემატურ კონტროლს უწევს კომუნისტების მუშაობას, ზრდის მათში პასუხისმგებლობის გრძნობას, იბრძვის იმისათვის, რომ არა მარტო ყველა კომუნისტი იყოს მოწინავე, არამედ მთლიანად ის უბანი, სადაც ისინი მუშაობენ. ეს ასეც არის: მეძროხეობის ფერმაში, რომლის გამგეა კომუნისტი ს. აფციაური, გასულ წელს არ სრულდებოდა ნამატის მიღებისა და შენარჩუნების, აგრეთვე წველადობის გეგმები, არ წარმოებდა პირუტყვის ჯიშთა გაუმჯობესება. პარტიულმა ორგანიზაციამ კრებაზე განიხილა ეს საკითხი. ფერმაში მომუშავე კომუნისტებთან ერთად საკითხის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უპარტიო ამხანაგებმა. მდგომარეობის გამოსასწორებლად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. ფერმის მუშაკებმა პარტიული კრების გადაწყვეტილება განახორციელეს და ფერმა მოწინავეთა რიგში ჩააყენეს.

დედაპირუტყვის სულადობის ზრდა და მისი ჯიშობრივი გაუმჯობესება მაღალპროდუქტიულობის საფუძველია. შარშან და წელს ფერმამ შეიძინა 150 ჯიშიანი ძროხა, გაუმჯობესდა საქონლის მოვლა-პატრონობა. წელს წველადობის ყოველთვიური გეგმები გადაჭარბებით სრულდება, მნიშვნელოვანი წარმატებაა ნამატის მიღებისა და შენარჩუნების საქმეშიც.

მოწინავე მწველავებმა ეკატერინე ჩოხელმა, ლიზა წიკლაურმა, მაშო ჩოხელმა, ეთერ წიკლაურმა, მაგდანა წიკლაურმა და სხვებმა უკვე შეასრულეს რძის მიღების მიმდინარე წლის გეგმები. საუკეთესოდ მუშაობენ ფერმაში კომუნისტები მ. ბექაური და გ. ჩოხელი.

ფერმის მუშაკთა გამარჯვებას მოწმობს ისიც, რომ მათ გეგმით გათვალისწინებული 438 ძროხის ნაცვლად 445 ძროხა ჰყავთ.

პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ მუშაობას ეწევა მეცხვარეობის ფერმის განმტკიცებისათვის, ხშირად მსჯელობს ცხვრის მოვლა-პატრონობის, მისი ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების საკითხებზე.

საზამთრო საძოვრებზე — ყიზლარში აგებულ იქნა თექვსმეტი ათასი სული ცხვრის ტევადობის ბინები; აშენდა აგრეთვე ახალი სადგომი სამასი სული ძროხისათვის. კოლმეურნეობა დოლისათვის კარგად მოემზადა. ყველა კომუნისტი ამ პასუხსაგებ პერიოდში ცხვარში იყო. აგიტატორები უშვებდნენ საველე გაზეთებს. გუდამაყრელებმა სასახელოდ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. მთლიანად შენარჩუნებულია ნამატი. კოლმეურნეობას ახლა ექვსი ათასი სულით მეტი ცხვარი ჰყავს, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული. პირველი პარსვისას მიღებულია დიდძალი მატყლი. კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა და ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბაროს ოთხასი ცენტნერი მატყლი.

პარტიული ორგანიზაციის მზრუნველობის შედეგად, კოლმეურნეობაში გამოიზარდნენ ცხვრის მოვლა-პატრონობის შესანიშნავი ოსტატები: თედო წიკლაური, სტეფანე აფციაური, პეტრე ბექაური, ნიკო ჩოხელი, ვასილ ბექაური, ბუხუთა აფციაური, ილია წიკლაური, ალექსი წიკლაური, რომლებმაც თავიანთ ბრიგადებში ყოველ ოთხას დედაცხვარზე ოთხას ოცი-ოთხას ორმოცდაათი ბატკანი მიიღეს.

გუდამაყრელთა ცხვარი და ძროხა ამჟამად საზაფხულო საძოვრებზეა. ოროსამდე მწყემსი და მწველავი ეწევა სასიხარულო შრომას. პარტიული ბიუროს მდივანი ხშირად საუბრობს მათთან. მის საველე ჩანთაში ყოველთვისაა ახალი ჟურნალ-გაზეთები, საინტერესო ბროშურები.

საკვების მომპოვებელი ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ვლადიმერ წიკლაური ხელმძღვანელობს, გათენებიდან დაღამებამდე მინდვრად არის. ბრიგადის წევრები თავდადებით შრომობენ, რათა ფერმები უზრუნველყონ საკმარისი და ნოყიერი საკვებით.

კოლმეურნეობაში ყოველივე ახლის ინიციატორები კომუნისტები არიან. მათი თაოსნობით მდინარე არაგვზე შენდება საკოლმეურნეო ელსადგური. მისი დენით განათდება სოფელი, მოეწყობა საკვების ელექტრომექანიკური შემზადება, ელექტროწველა, ელექტროპარსვა.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს, თუ როგორ ასრულებს გამგეობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, როგორ იცავს არტელის სტალინურ წესდებას, ამასთან პარტიული ბიურო გამგეობას როდი ცვლის, მისთვის გვერდის ავლით როდი აკეთებს საქმეს. პირიქით, პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამებით, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებით პარტბიურო გამგეობას ეხმარება საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი საკითხების სწორად გადაწყვეტაში, კოლმეურნეობის შემდგომ წინსვლაში.

გუდამაყრელმა კომუნისტებმა კარგად იციან, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება სამეურნეო წარმატება იყოს მტკიცე და ხანგრძლივი, როცა ის განმტკიცებულია ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით.

ა. თომაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ავიაციის დღის აღსანიშნავად

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ემზადებიან სტალინური ავიაციის დღისათვის.

საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეწყობა მოხსენებები და საუბრები საბჭოთა ავიაციის წარმატებებზე.

ქალაქებისა და რაიონების კლუბებში, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში მოწყობილია სტალინური ავიაციის დღისადმი მიძღვნილი გამოფენები.

თბილისის კულტურისა და დასვენების ორჯონიკიძის სახელობის პარკში მოეწყო გამოფენა თემაზე: „სამამულო ავიაციის ისტორია".

ავიატექნიკის დაუფლებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებმა ლამარა ბოლქვაძემ, დინარა ავალიშვილმა, ლილი პოპოვამ, ვაჟებმა რ. ჩხიკვაძემ, დ. გაბუნიამ, გ. მიქაბერიძემ, ა. შენგელიამ, გ. მაისურაძემ, რ. ჩეჩელაშვილმა და სხვ.

კვირას, 1 ივლისს თბილისის აეროპორტში მოეწყობა ავიაციის დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა გართობა. პროგრამაშია ავიაციის ნებაყოფლობითი დამხმარე საზოგადოების წევრთა ფრენა თვითმფრინავით.

ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურმა კომიტეტმა გამოსცა ბროშურები: „ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი საბჭოთა ავიაციის შემოქმედნი", „ჩვენი ქვეყანა ავიაციის სამშობლოა" და „პირველი ქართველი მფრინავი".

• • •

დღეს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართება თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი.

აგიტმხატვრული ბრიგადა მინდვრად

გურჯაანი. (საკ. კორ.). ველისციხის კულტურის სახლის დირექციამ მოსავლის აღებასთან დაკავშირებით სპეციალური სამუშაო გეგმა შეიმუშავა. კულტურის სახლის აქტივი ამ გეგმას წარმატებით ასრულებს.

აგიტმხატვრულმა ბრიგადამ, რომელსაც ს. მებურიშვილი ხელმძღვანელობს, ველისციხის კოლმეურნეობათა მინდვრებში მომუშავე კოლმეურნეებთან ჩაატარა საუბრები, მოაწყო მხატვრული კითხვა, გამართა ცეკვები და სიმღერები. ბრიგადის წევრებმა კოლმეურნეებს გააცნეს ველისციხელი წარჩინებული კოლმეურნეების მიხეილ მექვევრიშვილის, ლიმანა მოსესოვის და სხვების მუშაობის გამოცდილება, გამოუშვეს საველე გაზეთები, კალოებზე გააკრეს ლოზუნგები და სხვ.

საბჭოთა სასპორტო ავიაციის ახალი წარმატებანი

საუბარი ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საკავშირო საბჭოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან საბჭოთა კავშირის გმირ ნ. პ. კამანინთან

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის ტრადიციული დღე საბჭოთა ხალხის საყვარელი პირმშოს—სტალინური ავიაციის საყოველთაო-სახალხო დათვალიერებაა. ამ დღეს საბჭოთა ავიატორები მთელ ჩვენს ქვეყანასა და ამხანაგ ი. ბ. სტალინს უჩვენებენ თავიანთ წარმატებებს რთული საავიაციო ტექნიკის დაუფლებაში, თავიანთ გაზრდილ საფრენოსნო ოსტატობას.

ახალ-ახალი წარმატებით ხვდებიან სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებიც. ამხანაგ ი. ბ. სტალინის ინიციატივით სამი წლის წინათ შექმნილი საზოგადოება საბჭოთა პატრიოტების ნამდვილი მასობრივი ორგანიზაცია გახდა. ჩვენს ხალხს მხურვალედ უყვარს ავიაცია და გაბედულთა სპორტი — საჰაერო სპორტი. ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოსახლეობაში საავიაციო ცოდნის გავრცელება.

საწარმოებში, დაწესებულებებში, ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნილია ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საავიაციო წრეები. ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციები აწყობენ ავიაციის კუთხეებსა და გამოფენებს, მართავენ საუბრებს, მოხსენებებსა და ლექციებს საავიაციო თემებზე, აწყობენ ექსკურსიებს აეროდრომებზე და ავიაციის წარჩინებულ ადამიანებთან შეხვედრებს.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია აეროკლუბებისა და საფრენოსნო-საპლანერო სადგურების ქსელი, სადაც ქალაქისა და სოფლის მშრომელები წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ეუფლებიან ყველა სახის საჰაერო სპორტს. ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი აეროკლუბებში მეცადინეობით ჩინებული პარაშუტისტი, პლანერისტი გახდა.

მოზარდები და მოსწავლეები გატაცებით მისდევენ საავიამოდელო სპორტს, ქმნიან თვითმფრინავებისა და პლანერების სხვადასხვანაირ მოდელებს.

მიმდინარე წლის დამდეგს მოეწყო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების საანგარიშო მოხსენებანი და არჩევნები, რამაც ხელი შეუწყო ავიაციის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებაში მრავალი ახალი წევრის შესვლას. ბევრმა კოლექტივმა მასობრივი მუშაობის მდიდარი გამოცდილება შეიძინა. მოსკოვ-დონბასის რკინიგზის ელეცის საორთქლმავლო დეპოს ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადმა ორგანიზაციამ შეიძინა სასწავლო თვითმფრინავი, მოტორი, პარაშუტი, საავიაციო ხელსაწყოები და რეგულარულად აწყობს მეცადინეობას მათს შესასწავლად. ხარკოვის ოლქის კრასნოგრადის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის კლუბში მოეწყო ავიაციის კუთხე, ხშირად იმართება საუბრები და მოხსენებები ავიაციის სხვადასხვა საკითხზე. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე თადარიგის ოფიცერი გოლოვიკოვი და ბრიგადირი—თადარიგის ზემდეგი ნოვიკი ხელმძღვანელობენ მოტორისა და თვითმფრინავის შემსწავლელ წრეს. როვნოს ოლქის კოსტოპოლის რაიონის სოფელ პეჩალოვკაში მუშაობენ საპარაშუტო და საავიამოდელო წრეები, აგებულია საპარაშუტო კოშკურა. ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ასეთი ორგანიზაციები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეშია.

ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკასა და ოლქში ეწყობა საჰაერო სპორტსმენთა შეჯიბრება. შარშან ომის შემდეგ პირველად გაიმართა პარაშუტისტების, პლანერისტებისა და ავიამოდელისტების საკავშირო შეჯიბრება. მან საფრენოსნო საქმის ბევრი ახალი შესანიშნავი ოსტატი გამოავლინა.

საბჭოთა საჰაერო სპორტსმენებმა ამ უკანასკნელ წლებში შესანიშნავი რეკორდები დაამყარეს ყველა სახის საავიაციო სპორტში. სპორტის დამსახურებული ოსტატი რომანიუკი პარაშუტით გადმოხტა 13.400 მეტრი სიმაღლიდან. თვითმფრინავის ყველაზე ჩქარი — საათში 764 კილომეტრის ფრენის დროს პარაშუტით გადმოხტა სპორტის ოსტატი ბისტროვი. ცნობილი პარაშუტისტები ვლადიმირსკაია, პიასეცკაია და ესიონოვა გადმოხტნენ 6.200 მეტრი სიმაღლიდან და პარაშუტი მხოლოდ მას შემდეგ გახსნეს, რაც 5.000 მეტრზე მეტს დაეშვნენ. პლანერით შორს — 749 კილომეტრზე ფრენის მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის საპლანერო სპორტის ოსტატს ოლღა კლეპიკოვას.

გასულ წელს სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის მფრინავმა სპორტის ოსტატმა ფოროსტენკომ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, სასპორტო თვითმფრინავით საათში 441 კილომეტრი ფრენის სიჩქარეს მიაღწია. საბჭოთა ავიამოდელისტებმა 1950 წლის განმავლობაში 25 მსოფლიო და 54 საკავშირო რეკორდი დაამყარეს სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავთა მოდელებით ფრენაში.

საავიაციო რეკორდების რაოდენობით საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ჩვენს ავიასპორტსმენებს ეკუთვნით პლანერიზმში ოფიციალური საერთაშორისო რეკორდების ნახევარი, სფერული აეროსტატების კლასში ყველა რეკორდის სამი მეოთხედი, ავიამოდელიზმში საერთაშორისო რეკორდების ნახევარზე მეტი, ამფიბია თვითმფრინავების კლასში ყველა საერთაშორისო რეკორდის ნახევარი.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი საჰაერო სპორტსმენები კვლავაც მოუხვეჭენ სახელს საყვარელ სამშობლოს შესანიშნავი მიღწევებით. ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციები სულ უფრო მასობრივს გახდიან საავიაციო სპორტს, ახალ-ახალ ათასობით მშრომელს ჩააბამენ ავიაციის შესწავლაში და დაუღალავად გამოზრდიან ახალ სტალინურ შევარდენებს, განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას. (საქტესი).

აგიტატორის დასახმარებლად

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა ახალი დიადი გამარჯვება: ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა, ხოლო მისი უმნიშვნელოვანესი დავალებები მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია. ომისშემდგომ წლებში მიღწეულია სოციალისტური წარმოების მძლავრი აღმავლობა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობა. ამ მტკიცე საფუძველზე, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვის მეოხებით, უზრუნველყოფილ იქნა საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა. მთელი მსოფლიო კვლავ დარწმუნდა, რომ მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონია.

ომმა ჩვენს სამშობლოს უდიდესი ზარალი მიაყენა. სსრ კავშირის მტრები ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა ხალხი ვერ შეძლებდა საკუთარი ძალებით დაეძლია ომისშემდგომი სიძნელეები, მაგრამ ცხოვრებამ გააბათილა მათი ვარაუდი. სოციალიზმის ქვეყანამ ჰპოვა ძალები და შესაძლებლობა იმისათვის, რომ მოკლე დროში არა მარტო მოეშუშებინა ომით მიყენებული ჭრილობები, არამედ მოეწყო მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი უდიდესი აღმავლობა. ომისშემდგომ ხუთწლედში კვლავ მკაფიოდ გამოვლინდა საბჭოთა სოციალისტური წყობილების ყოველმხრივი უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის ყველაზე განმაზოგადებელ და მკაფიო მაჩვენებელს წარმოადგენს ნაციონალური შემოსავლის ზრდა. რას წარმოადგენს ნაციონალური შემოსავალი? ეს არის ჩვენს ქვეყანაში წლის მანძილზე მთელი დამზადებული პროდუქციის ღირებულება ნედლეულის, სათბობის, მანქანების, თესლისა და სხვ. ხარჯების გამოკლებით. ჩვენს ქვეყანაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპები უზრუნველყოფენ ნაციონალური შემოსავლის განუხრელ და სწრაფ ზრდას.

ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმით დასახული იყო ამოცანა გადაგვეჭარბებინა ნაციონალური შემოსავლის ომამდელი დონისათვის 38 პროცენტით. **ფაქტიურად ეს დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. 1950 წელს საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1940 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, 64 პროცენტით გაიზარდა.** ნაციონალური შემოსავლის ზრდის ასეთი მაღალი ტემპები არ არის და არც შეიძლება იყოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „კლასების მიხედვით სახალხო შემოსავლის განაწილების საკითხი მუშათა და გლეხთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის თვალსაზრისით ძირითად საკითხს წარმოადგენს" (თხზ. ტ. 12, გვ. 319). კაპიტალისტურ ქვეყნებში ნაციონალური შემოსავლის ნახევარზე მეტს ითვისებს კაპიტალისტთა კლასი, რომელიც მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ომამდე კაპიტალისტები ითვისებდნენ ნაციონალური შემოსავლის 55,6 პროცენტს. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა წილი ნაციონალურ შემოსავალში კიდევ უფრო შემცირდა ომის შემდეგ. იმპერიალისტების მიერ მოწყობილ გაშლებულ შეიარაღებას კოლოსალური მოგება მოაქვს კაპიტალისტური მონოპოლიებისათვის და აძლიერებს მშრომელთა მასების გაღატაკებას. საფრანგეთის კაპიტალისტთა მოგების წილი ამ ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალში გაიზარდა 1938 წლის 29 პროცენტიდან 1950 წლის 50,5 პროცენტამდე. ამავე პერიოდში საფრანგეთის მშრომელთა ხელფასის წილი ნაციონალურ შემოსავალში შემცირდა 45-დან 34 პროცენტამდე.

სოციალიზმის ქვეყანაში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელებს ეკუთვნის. იგი ნაწილდება მხოლოდ და მხოლოდ მათი ინტერესების სასარგებლოდ. 1950 წელს ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა საკუთარი პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიიღეს ნაციონალური შემოსავლის 74 პროცენტი. ნაციონალური შემოსავლის დანარჩენი 26 პროცენტი დარჩა სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების განკარგულებაში სოციალისტური წარმოების გასაფართოებლად და სხვა საერთო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. ამრიგად, ნაციონალური შემოსავლის ეს ნაწილიც ხმარდება მთელი საბჭოთა საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის ინტერესებს.

ნაციონალური შემოსავლის ზრდის მეოხებით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი წლითი-წლობით სრულდება გასავალზე შემოსავლის გადამეტებით. ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტში ასახულია მშრომელთა ინტერესები. ეს მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ქვეყნის ბიუჯეტია, ხალხის შემოქმედებითი შრომის, კეთილდღეობისა და კულტურის განუწყვეტელი აღმავლობის ბიუჯეტია.

კაპიტალის ქვეყნებში მშრომელთა უდიდესი მასები — უმუშევრები საერთოდ არ მონაწილეობენ ნაციონალური შემოსავლის განაწილებაში. მათი ხვედრია სიღატაკე და შიმშილი. კაპიტალისტები, რომლებიც აჩაღებენ სამხედრო მრეწველობას, ამცირებენ სამოქალაქო პროდუქციის წარმოებას. ამის შედეგად იზრდება უმუშევართა რიცხვი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევართა საშუალო თვიური რიცხვი გასული წლის მეორე ნახევარში 17 მილიონს შეადგენდა.

შარშან კაპიტალისტურ სამყაროში ითვლებოდა 45 მილიონი მთლიანად ან ნაწილობრივ უმუშევარი. ოჯახის წევრებთან ერთად ეს შეადგენს დაახლოებით 150 მილიონ კაცს, რომლებიც კაპიტალიზმის მიერ განწირული არიან უაღრესი სიღატაკისათვის, შიმშილით სიკვდილისათვის.

საბჭოთა კავშირში უმუშევრობას დიდი ხანია და სამუდამოდ მოეღო ბოლო. ჩვენი ქვეყნის განუწყვეტლივ მზარდი სოციალისტური გეგმიანი მეურნეობა მოითხოვს მუშა-მოსამსახურეთა ახალ-ახალ შევსებას. 1950 წლის დამლევისათვის ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მუშაობდა 39.200 ათასი კაცი — 7.700 ათასით მეტი, ვიდრე 1940 წლის დამლევს.

სოციალიზმის ქვეყანაში განუხრელად იზრდება მუშა-მოსამსახურეთა ფულადი და რეალური ხელფასი, იზრდება გლეხების შემოსავალი. შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურების სოციალისტური პრინციპი უზრუნველყოფს მშრომელთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ერთიანობას. ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების მაღალ ტემპებს თან სდევდა მუშათა ხელფასის გადიდება. გლეხების შემოსავალი გადიდდა როგორც საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეურნეობიდან, ისე საკარმიდამო, პირადი მეურნეობიდან. კოლმეურნეობებში გაიზარდა შრომადღის ღირებულება, გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი დამატებითი ანაზღაურებით მოსავლიანობის და მოზარდეულის გამოზრდის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, მოზრდილი პირუტყვის შენარჩუნებისა და პროდუქტიული მეცხოველეობის გადიდებისათვის.

თავის ისტორიულ სიტყვაში ამომრჩეველთა წინაშე 1946 წლის 9 თებერვალს ამხანაგმა სტალინმა, განსაზღვრა რა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ამოცანები, თქვა: „თუ აღარას ვიტყვით იმის შესახებ, რომ უახლოეს დროში გაუქმებული იქნება საბარათო სისტემა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საქონლის ფასების თანმიმდევრობითი შემცირების გზით...".

საბჭოთა ხალხის საარსებო დონის ამაღლების სტალინური პროგრამა მთლიანად განხორციელდა. 1947 წელს ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს ფულის რეფორმა და გააუქმეს საბარათო სისტემა ყველა სასურსათო და სამრეწველო საქონელზე. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მანძილზე მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები სამჯერ შემცირდა, ხოლო მიმდინარე წლის 1 მარტს ფასები მეოთხედ შემცირდა. **მუშა-მოსამსახურეთა შემოსავლის და გლეხების შემოსავლის საერთო თანხა 1950 წელს გაიზარდა 1940 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, 62 პროცენტით.**

მაშინ, როცა სსრ კავშირში რეალური ხელფასი განუხრელად იზრდება, კაპიტალისტურ ქვეყნებში იგი განუხრელად მცირდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1949 წელს მუშების რეალური ხელფასი 20-25 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე ომამდე. 1950 წელს, გაშლებული შეიარაღების შედეგად, რეალური ხელფასი კვლავ მკვეთრად შემცირდა და კვლავ განუწყვეტლივ ეცემა მიმდინარე წელს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე ომამდე შეადგენდა 8 დოლარს, 1949 წელს — 150 დოლარს, ხოლო 1950 წელს—300 დოლარზე მეტს. მარტო 1950 წლის დამლევს საშემოსავლო გადასახადის თანხა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახდევინებს ამერიკელ მშრომელებს, 20 პროცენტით და მეტით გადიდდა. აშკარად შემცირებული ოფიციალური ცნობებითაც კი, ოჯახების 60 პროცენტს — ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის დიდ უმრავლესობას — 25-30 პროცენტით იმაზე ნაკლები შემოსავალი აქვს, რაც საჭიროა ოდნავ ასატანი არსებობისათვის.

ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე განისაზღვრება არა მარტო ფულადი და რეალური ხელფასის ზრდით, არამედ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის სახელმწიფოს ხარჯების ზრდითაც. სსრ კავშირში მოსახლეობა სახელმწიფოს ხარჯზე იღებს დახმარებას სოციალური დაზღვევის ხაზით, პენსიებს სოციალური უზრუნველყოფის ხაზით, უფასო და შეღავათიან საგზურებს სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და საბავშვო დაწესებულებებში, დახმარებას მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, უფასო სამედიცინო დახმარებას, უფასო სწავლას, სტიპენდიებს მოსწავლეებისათვის და მთელ რიგ სხვა შეღავათებს და დახმარებას. ყველა მუშა და მოსამსახურე ყოველწლიურად იღებს შვებულებას ხელფასის შენარჩუნებით სულ მცირე ორი კვირის ხანგრძლივობით, ხოლო მთელი რიგი პროფესიების მუშაკები უფრო ხანგრძლივ შვებულებას. 1950 წელს მოსახლეობამ ყველა ამ შეღავათით სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო 120 მილიარდ მანეთზე მეტი, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

ვნახოთ როგორ გაიზარდა ხუთი წლის მანძილზე ერთი რიგითი საბჭოთა საწარმოს მშრომელთა კეთილდღეობა.

ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში თვეთვიური მუშის საშუალო შემოსავალი ამ ხუთწლედში ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. მუშების ორმესამედს თვიური შემოსავალი აქვთ ათასიდან ოთხი ათას მანეთამდე. ხუთწლედის მანძილზე ქარხნის ყოველმა

აბრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავება

აბრეშუმის პარკი ძვირფასი ნედლეულია და სათუთ მოვლას საჭიროებს. მის დამზადებას და პირველადს გადამუშავებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აბრეშუმის პარკის არაწესიერი დამზადებითა და გადამუშავებით შეიძლება პარკის ხარისხი ისე დაეცეს, რომ ძაფსალები მრეწველობისათვის სრულიად უვარგისი გახდეს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს დიდი გამოცდილება აქვთ მეაბრეშუმეობის დარგში. მიჩურინულ აგრობიოლოგიურ მეცნიერებაზე დაყრდნობით მეაბრეშუმეობა დღითიდღე ვითარდება და წინ მიდის. ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მიერ წამოწყებული ნოვატორული მოძრაობა აბრეშუმის ჭიის კვებისა და მოვლის გაუმჯობესების საქმეში სწრაფად დაინერგა მთელს რესპუბლიკაში.

ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები სისტემატურად აუმჯობესებენ აბრეშუმის ჭიისა და თუთის ხის ჯიშებს და გაბედულად ნერგავენ მათ წარმოებაში.

ქართული აბრეშუმის პარკი თავისი ხარისხით განთქმულია მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ მისი ხარისხის გაუმჯობესება კიდევ შეიძლება.

აბრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავების ძირითადი ამოცანაა გავაძლიეროთ მისი შენახვა მეორე წლამდე, ე. ი. პარკის ახალ მოსავლამდე. ჩვეულებრივად ამას აღწევენ პარკში ჭუპრის ჩაკვლით და პარკის გახმობით.

პარკის პირველადი გადამუშავების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისათვის ბრძოლა უნდა დაიწყოს აბრეშუმის პარკის დამზადების კარგი ორგანიზაციით.

მეაბრეშუმეების მიერ აბრეშუმის ჭიის მოვლაზე დახარჯული შრომის საბოლოო შეფასება ხდება სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პარკის მიხედვით. ამიტომ პარკის მიღების საქმის სწორად მოწყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

დამამზადებელ პუნქტებში აბრეშუმის პარკი მიტანილ უნდა იქნას მზის სხივებისაგან დაცულად. ნედლი პარკის გადატანა დასაშვებია მაგარი და ჰაერგამტარი ჭურჭლებით (კალათებით, გოდრებით, დახვრეტილი ყუთებით); ვინაიდან გადატანისას პარკი განიცდის ერთგვარ „ჩახურებას“, საჭიროა დამამზადებელ პუნქტებზე მიტანილი ნედლი პარკი, ჩაბარებამდე 15-20 წუთით გაიშალოს თხელ ფენად ჩრდილში და კარგად განიავდეს. ამის შედეგად მაგრდება პარკის გარსი, მას უბრუნდება პირვანდელი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, რაც ძლიერ საჭიროა მისი ხარისხის შეფასებისათვის. პარკის დამამზადებელი პუნქტების ადმინისტრაციამ საამისოდ ყოველგვარი პირობა უნდა შეუქმნან ჩამბარებლებს.

პუნქტის მიერ მიღებული პარკი კარგ მოვლას მოითხოვს. ფარდულში ის უნდა დაიყაროს ჩრდილში, სუფთა ადგილას, სისქით არა უმეტეს 50 სანტიმეტრისა. ფარდულში მოთავსებული ნედლი პარკის ჩახურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფრთხილად გადავაბრუნოთ ის დღეში ორჯერ მაინც. ფარდულში პარკი უნდა დაიყაროს ჯიშებისა და ფერების მიხედვით. პარკის გამოხმობის უკეთ მოსაწყობად უმჯობესია პარკი დაიყაროს ფარდულში აგრეთვე გარსის სიმკვრივის მიხედვით ორ კატეგორიად, ე. ი. სქელგარსიანი ცალკე და თხელგარსიანი ცალკე.

არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს მეაბრეშუმის მიერ მოტანილი პარკის ხარისხის დასადგენად პარკის ნიმუშების აღებას და ამ ნიმუშების დახარისხებას, რადგან ამაზე ბევრად არის დამოკიდებული მისაღები პარკის ხარისხთა დადგენის სიზუსტე.

ხშირად იმის შედეგად, რომ დამამზადებელ პუნქტში მიღებულ პარკს ჯეროვნად არ უვლიან, პარკი ზიანდება. საჭიროა პუნქტში მიღებული პარკი დავიცვათ მღრღნელებისა და მტაცებლებისაგან.

პარკის სახმობ აპარატებში გამოსახმობად და გასახმობად პარკი უნდა გაიგზავნოს მისი ჭუპრის სიმწიფის მიხედვით. შიგ არ უნდა ერიოს შავი ჩხარი და ჭიადაუჭუპრებელი პარკი. ნორმალური პარკის ხარისხი ძლიერ ეცემა, თუ მისი გამოხშობა და გახმობა წარმოებს ჭიადაუჭუპრებელ პარკთან და შავ ჩხართან ერთად. ამიტომ პუნქტის მუშაკებმა ნორმალური პარკიდან სისტემატურად უნდა ამოარჩიონ შავი ჩხარი და არ გამოახმონ ჭიადაუჭუპრებელი პარკი.

საქართველოში პარკის დამამზადებელ ყველა პუნქტში დადგმულია უჯრედებიანი მექანიკური პარკსახმობი აპარატები, რომლებშიც ჭუპრის გამოხშობა და პარკის გახმობა წარმოებს ერთსა და იმავე დროს, შედარებით მოკლე დროის განმავლობაში. ამ აპარატების ტექნიკური მომსახურება რთული არ არის, მაგრამ მათ არაწესიერ ექსპლოატაციას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს პარკის ხარისხს. ამიტომ უჯრედებიან პარკსახმობ აპარატებზე პარკის გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტად დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჰაერის მაღალი ტემპერატურა (90° და ზევით) ნედლი პარკის ხარისხზე დამღუპველად მოქმედებს და ზრდის აბრეშუმის ნარჩენთა რაოდენობას, რის შედეგადაც ძლიერ მცირდება პარკიდან ძაფის გამოსავლიანობა, ძაფი ხშირად წყდება, ეს კი დიდ ზიანს აყენებს აბრეშუმის მრეწველობას.

მექანიკურ პარკსახმობ აპარატებზე მუშაობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს: ყველა ყუთში პარკის ფენის გასწორებას, აპარატში ჰაერის სისუფთავესა და დენის სიჩქარეს, აპარატის ყუთების და მთლიანად სექციის კარგ იზოლირებას, რათა სითბო ამაოდ არ იკარგებოდეს, ჰაერის ტემპერატურის რეგულირებას, კალორიფერის კვამლსაწოვი მილების დროულად დასუფთავებას, ღუმელის მუშაობის რიტმულობას და სხვ.

დიდ როლს ასრულებს ხმელი პარკის გამოცნობის მეთოდი. ზოგიერთი პარკს გამხმარად მაშინ თვლის, თუ ჭუპრი ანალიზის დროს მტვრად იფშვნება. ეს სწორი არ არის. ჭუპრის ანალიზის ასეთი შედეგი იმის დამადასტურებელია, რომ პარკი მეტისმეტად გამხმარია. ნორმალურად გამხმარი პარკის ჭუპრი ანალიზის შედეგად უნდა ტყდებოდეს და ამავე დროს მასში ზეთის ნიშნები იგრძნობოდეს. ძლიერ გამხმარი პარკის ტექნოლოგიური თვისებები ძალიან დაბალია და იგი ძაფსალებ წარმოებაში გადამუშავებისას ცუდ შედეგებს იძლევა. ასევე შეიძლება ითქვას იმ პარკზე, რომელიც მექანიკურ პარკსახმობში გასახმობად ორჯერ არის გატარებული. მხედველობიდან არ არის გამოსაშვები ისეთი, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ფაქტიურად დიდი მნიშვნელობის საკითხი, როგორიც არის მექანიკური სახმობის განტვირთვის საკითხი. პარკს უნდა გადავაფაროთ ტილო და ტილოს ქვეშ თანდათანობით გავაგრილოთ ისე, რომ გამკრავი ქარი არ მოხვდეს. ცხელი ჰაერის ზემოქმედებით აბრეშუმის შემადგენელი წებოვანი ნაწილი (სერიცინი) ლღვება; როდესაც პარკსახმობი აპარატის განტვირთვის დროს აპარატიდან გამოგვაქვს, პარკი მაშინ ცხელია და სერიცინი გალღობის მდგომარეობაში იმყოფება. თუ ასეთი პარკი თანდათანობით არ გავაგრილეთ ტილოს ქვეშ, წებოვანი ნივთიერება — სერიცინი — უცებ გამაგრდება, რაც გამოიწვევს პარკის ამოხვევის თვისებების გაუარესებას.

ბოლოს, საჭიროა პუნქტების მუშაკებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ გამხმარი პარკიდან შავი ჩხარის ამორჩევას, ბარდანებში პარკის შეფუთვას, მზის სხივებისა და მავნებლებისაგან დაცვას და მშრალ ადგილას შენახვას. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი ცალი პარკი იძლევა ძვირფასი თვისებების მქონე ათას მეტრამდე აბრეშუმის ძაფს. ამიტომ თვითეული პარკის წესიერად მოვლით ხელი უნდა შევუწყოთ აბრეშუმის მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამზადებას.

დოცენტი ი. დოლიძე
საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აბრეშუმმცოდნეობის კათედრის გამგე

ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

სტალინირი. (საქ. კორ.). ქალაქ სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ი. ბ. სტალინის ნაშრომის — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ — გამოქვეყნების წლისთავს. სესიაზე დახასიათებულ იქნა ის სერიოზული მუშაობა, რაც პედაგოგიურ ინსტიტუტში უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე იქნა გაწეული ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის საფუძველზე.

სესიამ მოისმინა ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის ამხ. შ. გაფრინდაშვილის მოხსენება თემაზე: „ი. ბ. სტალინის მოძღვრება ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, შესახებ“. „მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ ი. ბ. სტალინის ნაშრომებში“ — ამ თემაზე მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ ამხ. გ. ქულუმბეგოვმა. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგემ ამხ. ტ. სარიშვილმა სესიაზე გააკეთა მოხსენება — „ქართული კულტურისა და ოსური კულტურის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთ საკითხზე“.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლები პასუხისგებაში არიან მიცემული

ხულოს რაიონიდან სოფლკორი გვწერდა: სოფელ ბარათაულის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ო. დუმბაძემ მიითვისა კოლმეურნეობის ხარი და ორი თხა. საწყობის გამგე და სხვა მუშაკები საკოლმეურნეო ქონებას ითვისებდნენ და ანიავებდნენ. კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა და აღრიცხვა. ხშირია საფინანსო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. დუმბაძე რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას არასწორ და თვალისმხვევ ცნობებს აწვდიდა, უხეშად ექცეოდა კოლმეურნეებს.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომს. როგორც პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. დ. ლეკვეიშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. აღნიშნული კოლმეურნეობის საკითხი ა. წ. 5 ივნისს განიხილა რაიკომის ბიურომ, რომელმაც სოფელ ბარათაულის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას რჩევა მისცა მოხსნას ო. დუმბაძე კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან.

საკოლმეურნეო საკუთრების მიმთვისებელთა საქმე მათი პასუხისგებაში მისაცემად გადაეცა რაიონის პროკურატურას.

რაიკომის ბიურომ დასახა საჭირო ღონისძიებანი კოლმეურნეობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მოსავლის აღების გეგმა ცუდად შეადგინეს

წელს საგარეჯოელმა კოლმეურნეებმა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი 12.536 ჰექტარზე უნდა აიღონ. მოსავლის მასობრივად აღებას მალე შეუდგებიან. მოსავლის ასაღებად კარგად არის მომზადებული „ზაგოტზერნოს“ საგარეჯოს პუნქტი (დირექტორი გ. მღებრიშვილი). აქ დროულად გააკეთეს დეზინფექცია, დაამთავრეს პუნქტთან მისასვლელი გზების რემონტი, შეაკეთეს მარცვალსაწმენდები, სანიავებლები, სასწორები, დამატებით ააგეს 2.500 ტონა მარცვლეულის ტევადობის ახალი საწყობი.

მაგრამ მოსავლის აღებისათვის მზადებაში ყველაფერი რიგზე როდია. ზოგან მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკი სწორად არ შეადგინეს. საგარეჯოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ზუკაკიშვილი) ქერის შერჩევითი აღება 19 ივნისს დაიწყო, ხოლო ამ დროისათვის მოსავლის აღების გეგმა კოლმეურნეობას დამტკიცებული არ ჰქონდა.

ამ კოლმეურნეობას მომსახურებას უწევს საგარეჯოს მტს-ი (დირექტორი ვლ. კაპანაძე). მტს-ის მიერ შედგენილ კომბაინების მოძრაობის გრაფიკს კოლმეურნეობა არ იცნობს. კოლმეურნეობის გეგმა ითვალისწინებს კომბაინებით მოსავლის აღების დამთავრებას ერთ თვეში, ხოლო მტს-ის გეგმა — 23 დღეში.

უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ სართიჭალის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე შ. გოგიტაშვილი). მაგალითად, კოლმეურნეობაში 13,4 ჰექტარი ფართობის კომბაინით აღებისათვის გათვალისწინებულია ორი დღე, ესე იგი კომბაინმა დღეში უნდა აიღოს 7 ჰექტარზე ცოტა ნაკლები, მაშინ როცა ერთ კომბაინს დღეში შეუძლია აიღოს 10-12 ჰექტარი. აქვე 30 ჰექტარის ასაღებად ორი დღის განმავლობაში გამოყოფილია „კომუნარის“ მარკის ორი კომბაინი. ამ სამუშაოს ამავე დროში ადვილად შეასრულებდა ერთი თვითმავალი კომბაინი და შესაძლებელი გახდებოდა გათავისუფლებული კომბაინის სხვაგან გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ საგარეჯოს, იერისა და სართიჭალის მტს-ებს მოსავლის აღების პერიოდში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას არ გაუთვალისწინებიათ კომბაინების საათობრივი გრაფიკით მუშაობა. საინტერესოა, რატომ ივიწყებენ აქ შრომის ნაყოფიერების გადიდების ნაცად მეთოდს?

სართიჭალის მტს-ის (დირექტორი შ. კახაია) კომბაინების მოძრაობის გეგმა-გრაფიკში გათვალისწინებული არ არის საკოლმეურნეო ნაკვეთებში მოსავლის აღების დაწყებისა და დამთავრების დღეები.

მოსავლის მასობრივად აღებამდე ცოტა დრო დარჩა. საჭიროა საგარეჯოს რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ეს ნაკლოვანებანი დროულად გამოასწორონ.

გ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მიმღები პუნქტი მზად არ არის

სამხრეთ ოსეთის საკოლმეურნეო მინდვრებზე წელს პურეულის უხვი მოსავალი მწიფდება. უახლოეს დღეებში მასობრივად გაჩაღდება ხორბლის აღება და მარცვლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

გაზაფხულზე ქ. სტალინირის რკინიგზის სადგურის მახლობლად დაიწყო 2.500 ტონა ხორბლეულის ტევადობის ახალი საწყობის მშენებლობა. შენობის აგება დამთავრებულია, მაგრამ პუნქტში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. პუნქტის ახლად აგებული საწყობის მახლობლად უნდა გადმოეტანათ კანტორა და ლაბორატორია (იგი მთავარი ობიექტიდან 300 მეტრის დაშორებით იმყოფება), მაგრამ საამისოდ გათვალისწინებული შენობის აგება ჯერ ნახევრადაც არ არის დამთავრებული. კანტორისა და ლაბორატორიისათვის მშენებლობა უპროექტოდ დაიწყო. „ზაგოტზერნოს“ რესპუბლიკური კანტორის ინჟინერი ს. ციხელაშვილი, რომელიც მშენებლობას ხელმძღვანელობს, უკვე მეათე დღეა საქმის მოსაგვარებლად თბილისშია წასული და „ზაგოტზერნოს“ სტალინირის პუნქტის ხელმძღვანელობა მის დაბრუნებას ელოდება. მშენებლობისათვის საჭირო ხის მასალა ადგილზე არ მოეპოვებათ.

ახლადაგებულ საწყობთან მისასვლელი გზის შეკეთება კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ იგი 27 ივნისსაც არ იყო მზად.

26 ივნისს ახალ საწყობში მხოლოდ 3 სასწორი იდგა, მათგან ერთი აუწყობელი იყო. საწყობში ჯერ კიდევ არ გადმოუტანიათ მექანიზმები (ტრანსპორტიორი, თვითმიმწოდებელი და სხვ.). საწყობში არ არის აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა, არ გაუყვანიათ ელექტროხაზი. პუნქტის მუშებმა წყალსადენისათვის ორი თვის წინათ გასჭრეს თხრილი, მაგრამ მილების უქონლობის გამო საქმე შეჩერებულია.

„ზაგოტზერნოს“ სტალინირის მიმღებ პუნქტში (დირექტორი პ. ნებიერიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ფუხაევი) ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. საჭიროა დარჩენილი დრო მაქსიმალურად იქნას გამოყენებული, რომ პუნქტი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს ხორბლის მიღებას.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მოწინავე მეაბრეშუმეები

საგარეჯო. (საქ. კორ.). სოფელ სართიჭალის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა მარიამ ჯინჭარაძის ხელმძღვანელობით 28 კოლოფი თესლიდან მიღებული აბრეშუმის ჭიის გამოკვება ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილების გამოყენებით 23 დღეში დაამთავრეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 300 კილოგრამი პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი. პირადად მ. ჯინჭარაძემ 0,5 კოლოფზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21 კილოგრამისა, მოიყვანა 68,4 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი.

ჭრა-კერვის სკოლა

ქლუხორი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონულ კულტურის სახლთან გაიხსნა ჭრა-კერვის სკოლა, სადაც 50 დიასახლისი სწავლობს. ჭრა-კერვის სკოლაში ამჟამად ორი ჯგუფია. ამ დღეებში გაიხსნება მესამე ჯგუფიც. სკოლაში მეცადინეობა 6-თვიანი სასწავლო პროგრამით.

მოწინავე კომბაინერი

ლაგოდეხი. (საქ. კორ.). სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში ულიანოვკის მტს-ის კომბაინერი ფ. რემიზოვი და ტრაქტორისტი ვ. გოგოლაძე შეუფერხებლად მუშაობენ. მათ უკვე 170 ჰექტარზე აიღეს მოსავალი და საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 25 ცენტნერი ხორბალი. კომბაინერ ფ. რემიზოვის ვალდებულებაა — ყოველდღიურად მოსავალი 25-30 ჰექტარზე აიღოს.

მეხუთე მუშამ მიიღო ახალი ბინა, ხოლო 700 ახალგაზრდა მუშა შესახლდა კეთილმოწყობილ საერთო საცხოვრებელში. ხუთი წლის მანძილზე ქარხნის თვითეულმა მესამე მუშამ მიიღო სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის საგზური. საგზურების ღირებულების 70 პროცენტი ანაზღაურდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებით. ამავე პერიოდში პიონერ ბანაკებში იყო 3.336 ბავშვი.

კაპიტალისტურ საწარმოებში 40-45 წლის მუშას მოხუცად თვლიან და ქუჩაში აგდებენ არსებობის ყოველგვარი სახსრის მიუცემლად. სსრ კავშირში სახელმწიფო უდიდეს ზრუნვას იჩენს მოხუცი მუშებისათვის და უზრუნველყოფს მათ პენსიებით. ქვანახშირის, მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები ყოველწლიურად იღებენ ჯილდოს წელთა ნამსახურობისათვის. ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის მათ აჯილდოებენ ორდენებითა და მედლებით.

მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მძლავრმა აღმავლობამ, საქონლის ფასების სისტემატურმა შემცირებამ, მოსახლეობის შემოსავლის ზრდამ, საბჭოთა ვაჭრობის გაჩაღებამ ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე შექმნეს სახალხო მოხმარების სწრაფი აღმავლობის პირობები. **ახლა ჩვენი ხალხი გაცილებით მეტ სასურსათო და სამრეწველო საქონელს იხმარს, ვიდრე ომამდე იხმარდა.**

1950 წელს სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში, ადგილობრივი რესურსების ხარჯზე საქონლის გაყიდვის ჩაუთვლელად, გაიყიდა მეტი, ვიდრე 1940 წელს: ხორცი და ხორცის პროდუქტები 38 პროცენტით, თევზის პროდუქტები—51 პროცენტით, ერბო-კარაქი—59 პროცენტით, მცენარეული ზეთი და სხვა ცხიმები—67 პროცენტით, შაქარი—33 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმი—34 პროცენტით, ფეხსაცმელი—39 პროცენტით, ბამბის, შალის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილები—47 პროცენტით. ომამდელ 1940 წელთან შედარებით განსაკუთრებით მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობისათვის კულტურული და სამეურნეო საჭიროების საქონლის მიყიდვა: საათებისა 3,3-ჯერ, რადიომიმღებებისა—6-ჯერ, ველოსიპედების და საკერავი მანქანებისა — თითქმის 3-ჯერ, მოტოციკლებისა — 16-ჯერ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სახალხო მოხმარება განუხრელად მცირდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში სურსათის ფასი შარშან 24 პროცენტით გაძვირდა. ძალიან გაძვირდა სხვა საქონელიც. ინგლისში 1950 წლის სექტემბერში პურის ფასები 22 პროცენტით უფრო მაღალი იყო, ვიდრე 1947 წელს. ამავე ხნის განმავლობაში შაქარი გაძვირდა 60 პროცენტით, ერბო-კარაქი — 50 პროცენტით, რძე—43 პროცენტით. 1951 წელს არ არის ისეთი დღე, რომ ინგლისში მასობრივი მოხმარების რომელიმე საგნის ფასი არ იზრდებოდეს. მარტო უკანასკნელ თვეში მამაკაცის კოსტუმები გაძვირდა 29 პროცენტით, ბავშვის პალტოები 44 პროცენტით. ამას წინათ კვლავ გაიზარდა საბნის ფასები, და ახლა ინგლისელები საბანში 7-ჯერ მეტს იხდიან, ვიდრე ომამდე. ინგლისში დღემდე არსებობს ბარათები ხორცზე, ერბო-კარაქზე, შაქარსა და სხვა საქონელზე. ბარათებით გასაცემი პროდუქტების ისედაც მცირე ნორმები სისტემატურად იკვეცება. ინგლისელი მშრომელები 20-25 პროცენტით ნაკლებ სურსათს ხმარობენ, ვიდრე ომამდე.

საფრანგეთში მშრომელთა საარსებო დონე, ომამდელთან შედარებით, ერთიორად და უფრო მეტად შემცირდა. ფრანგი მუშის მყიდველობითი უნარი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 20 პროცენტით შემცირდა და კვლავ განუწყვეტლივ მცირდება. ომამდელ დროსთან შედარებით ხორცის მოხმარება საფრანგეთის ქალაქებში შემცირდა 25 პროცენტით, რძისა—20 პროცენტით და სხვ. დასავლეთ გერმანიაში 1950 წელს მშრომელთა რეალური ხელფასი საშუალოდ 14 პროცენტით შემცირდა.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა უზრუნველყოფს მშრომელთა ცხოვრების პირობების ყოველმხრივ გაუმჯობესებას. **ფართოდ გაჩაღდა ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობა.** ქალაქებსა და მუშათა დაბებში ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მანძილზე აშენებული და აღდგენილია საცხოვრებელი სახლები 100 მილიონი კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობით. გარდა ამისა, სოფელ ადგილებში აღდგენილი და აშენებულია 2.700 ათასი საცხოვრებელი სახლი. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის მცხოვრებლებმა შარშან მიიღეს 535 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი — 35 პროცენტით მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე მოსკოვის საქალაქო მეურნეობის განვითარებასა და რეკონსტრუქციაზე სახელმწიფომ დახარჯა 10 მილიარდ მანეთზე მეტი.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მწვავე საბინაო კრიზისი სუფევს, სახლების მშენებლობა სულ უფრო მცირდება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საბინაო მშენებლობის მოცულობა წელს 40 პროცენტით ნაკლები იქნება, ვიდრე შარშან, როცა იგი აგრეთვე მცირე იყო. ამავე დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკული პრესის აღიარებით, მყრალ ჯურღმულებში ცხოვრობს ამერიკის მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი. ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთი „ივნინგ სტანდარდი“ ამას წინათ წერდა: „გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ ომის დამთავრებიდან ხუთი წლის შემდეგ დაახლოებით 1.500 ათას ლონდონელს — მამაკაცს, ქალსა და ბავშვს—სჭირდებათ ახალი ბინები“. გაზეთი აღიარებს, რომ მათ თითქმის არავითარი იმედი არა აქვთ მიიღონ ბინები, ვინაიდან ბინების მშენებლობა ინგლისში ფაქტიურად შეწყვეტილია.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ბინის გადასახადი იმდენად მაღალია, რომ იგი პირდაპირ აღატაკებს მშრომელებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და საფრანგეთში მუშა ბინაში იხდის ხელფასის 25-40 პროცენტს, მაშინ როცა საბჭოთა მუშა იხდის დაახლოებით 4 პროცენტს.

როგორც ომამდელი სტალინური ხუთწლედების მანძილზე, ისე ომისშემდგომ პერიოდშიც ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებას. „ჩვენ გვინდა ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული გავხადოთ, და ჩვენ გავაკეთებთ ამას დროთა ვითარებაში“, — თქვა პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა. ეს ამოცანა წარმატებით ხორციელდება. ჩვენი ქვეყანა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანაა. მოკლე ვადაში ჩვენში შეიქმნა სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი. ომისშემდგომ წლებში სახალხო განათლების განვითარებაში მიღწეულია ახალი დიდი წარმატებანი. **მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სასწავლებლებში ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა 8 მილიონით და 1950 წელს მიაღწია 37 მილიონს.** ჩვენს ქვეყანაში ყველგან განხორციელებულია საყოველთაო-სავალდებულო შვიდწლიანი სწავლა. ეს ჩვენი ქვეყნის ახალი დიდი მონაპოვარია.

ომისშემდგომ წლებში კვლავ უდიდესი მასშტაბით გაჩაღდა სპეციალისტთა მომზადება. ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში 1950 წელს სწავლობდა 1.290 ათასი კაცი,—323 ათასით მეტი, ვიდრე 1940 წელს. უმაღლეს სასწავლებლებში 1950 წელს სწავლობდა 1.247 ათასი სტუდენტი — ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობამ ხუთი წლის მანძილზე მიიღო 652 ათასი სპეციალისტი უმაღლესი განათლებით და 1.278 ათასი საშუალო განათლებით. 1940 წელთან შედარებით სახალხო მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა რიცხვი 84 პროცენტით გადიდდა.

მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნამუშევრების, გამოგონებებისა და მიღწევებისათვის ხუთწლედის მანძილზე სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა 6,5 ათასზე მეტ კაცს.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მანძილზე მუშათა კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაწეულ უდიდეს მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდისათვის. მრეწველობისათვის კვალიფიციური მუშების მომზადება ხორციელდება შრომითი რეზერვების სისტემის მეშვეობით, წარმოებიდან მოუწყვეტლად ინდივიდუალური, ბრიგადული და კურსებზე სწავლების გზით. ხუთწლედის მანძილზე სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებმა, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებმა სახალხო მეურნეობას მისცეს თითქმის სამნახევარი მილიონი ახალგაზრდა მუშა. ამავე ხნის განმავლობაში წარმოებიდან მოუწყვეტლად ისწავლა და კვალიფიკაცია აიმაღლა 31 მილიონზე მეტმა მუშამ. საკოლმეურნეო კადრების მასობრივი მომზადება, რაც ხორციელდებოდა როგორც ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მანძილზე, ისე ახლაც, ხელს უწყობს კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, მოსავლიანობის ზრდას, მეცხოველეობის განვითარებას. ომისშემდგომ პერიოდში მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის განუხრელი აღმავლობა ახალი ნაბიჯია გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობის მოსპობის გზაზე, ახალი ნაბიჯია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზაზე.

ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა, რომლის განხორციელება საბჭოთა ხალხმა წარმატებით დაიწყო ომისშემდგომ ხუთწლედში, აჩქარებს კვების პროდუქტების და ფართო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნას ჩვენს ქვეყანაში. სსრ კავშირის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტალინური ეპოქის გრანდიოზულ მშენებლობებს, კომუნიზმის მატერიალური ბაზის შექმნაში ახალ გადამწყვეტ წვლილს. მსოფლიოში უდიდეს ნაგებობათა — კუიბიშევის, სტალინგრადისა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგურების, თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ უკრაინის, ჩრდილოეთ ყირიმისა და ვოლგა-დონის არხების მშენებლობა უზრუნველყოფს მრავალი ჰექტარი მიწის მორწყვასა და წყლით უზრუნველყოფას, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის დიდ ზრდას, პირუტყვის სულადობის ზრდას და მისი პროდუქტიულობის გადიდებას.

საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა და შემოქმედებითი აქტივობა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდის საწინდარია. საბჭოთა ადამიანები უდიდესი აღფრთოვანებით მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის მამობრივ ზრუნვას უპასუხებენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებით, ახალი გამარჯვებებით კომუნიზმის მშენებლობაში.

ნ. მასლოვა

ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაცია

თეირანი, 28 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბესუე აიანდე" მოწინავე სტატიაში წერს, ირანელი ხალხი მოელის, რომ ნავთის საწარმოებს სულ მთლად ჩამოართმევენ ყოფილ ინგლის-ირანის ნავთის კომპანიას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ირანის მთავრობამ უნდა გამოიყენოს მთელი შინაგანი და საგარეო შესაძლებლობანი, რათა წარმატებით გაუწიოს წინააღმდეგობა იმპერიალისტების მუქარასა და ზეგავლენას. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისელი იმპერიალისტები ყოველგვარ ზეგავლენასა და მუქარას მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის სრულად განხორციელებას. ისინი ტანკერების კაპიტნებს ბრძანებას აძლევენ — არ გასცენ ნავთპროდუქტების ტვირთის მიღების ხელწერილი, იმუქრებიან სამუშაოდან უცხოელი სპეციალისტების კოლექტიური წასვლით, აიძულებენ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა შვეცია, ბელგია, ჰოლანდია და საფრანგეთი, უარყონ ირანის მთავრობის წინადადებანი ირანში ნავთის საკითხთა სპეციალისტების გაგზავნის შესახებ, იმუქრებიან შეიარაღებული ძალის გამოყენებით და ირანში „სამხედრო დიქტატურის" დამყარებით, და, ბოლოს, აქტიურებენ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობას.

„ბესუე აიანდეს" მიაჩნია, რომ ირანის მთავრობა უნდა დაეყრდნოს ფართო საზოგადოებრიობას, რათა სერიოზული და საკადრისი წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტების ხრიკებს. „საუკეთესო საშუალება ამ მუქარის აღსაცილებლად და ზეგავლენის მოხდენისათვის წინააღმდეგობის გასაწევად,—წერს გაზეთი,—არის სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება, რომელიც მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენებს იმპერიალისტებს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თვით ირანში ნავთპროდუქტების განაწილებისა და გაყიდვის მოსაწყობად, აგრეთვე უშუალოდ ირანის ნავთის მრეწველობის ეროვნული კომპანიის დროებითი გამგეობის მიერ შესაბამისი შემოსავლის მისაღებად მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმ ფინანსური ჩიხის ლიკვიდაციას, რომელშიც ირანი იმყოფება.

გაზეთი აღნიშნავს, რომ როგორც უკვე იუწყებოდნენ, მარტო თეირანში ეს შემოსავალი დღეში სულ ცოტა 1 მილიონ რიალს შეადგენს და რომ მთელ ირანში განხორციელებული მარტო ეს ნაწილობრივი ღონისძიება უზრუნველყოფს ირანში ნავთის თითქმის ისეთსავე შემოსავალს, როგორსაც ირანის მთავრობა იღებდა წინათ ინგლის-ირანის ნავთის კომპანიასთან საკონცესიო შეთანხმებით.

გაზეთი მოუწოდებს მთავრობას სამუშაოდან ინგლისელი სპეციალისტების კოლექტიური წასვლისა და ნავთის ამოღებისა და გატანის შეწყვეტის საფრთხის თავიდან ასაცილებლად გამოიყენოს ანტიიმპერიალისტური ქვეყნებისაგან —ირანელი ხალხის გულწრფელი მეგობრებისაგან დახმარების მიღების შესაძლებლობა.

გაზეთი „ბესუე აიანდე" აგრეთვე ურჩევს ირანის მთავრობას უფრო მტკიცედ განაცხადოს პროტესტი იმპერიალისტური სახელმწიფოების მოქმედების, ირანის საშინაო საქმეებში მათი ჩარევისა და ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის განხორციელებისათვის ხელის შეშლის ცდების წინააღმდეგ. კერძოდ, „ბესუე აიანდეს" საჭიროდ მიაჩნია, რომ მთავრობამ უარყოს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს „შუამავლობა" და ინგლისის საჩივრისა და მოქმედებაზე საჩივარი შეიტანოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხის გამო

თეირანი, 28 ივნისი. (საკდესი). როგორც გუშინ გაზეთმა „ეთელაათმა" გადმოგვცა, ირანის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხუზისტანში გააფრთხილეს ყოფილი ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, რომ მათ 28 ივნისის საღამომდე უნდა განაცხადონ, გადაწყვეტილი აქვთ თუ არა დარჩნენ ირანის მთავრობის სამსახურში და განაგრძონ მუშაობა ირანის ნავთის ეროვნული მრეწველობის კომპანიის დროებითი გამგეობის ხელმძღვანელობით. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა დატოვონ ირანი.

თეირანი, 27 ივნისი. (საკდესი). ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა თხოვნით მიმართა ნავთის მრეწველობის ყველა უცხოელ სპეციალისტს, მოსამსახურესა და მუშას კოლექტიურად არ დატოვონ სამუშაო, არამედ დარჩნენ ირანის მთავრობის სამსახურში ისეთსავე პირობებში, როგორშიც ისინი იყვნენ ყოფილ ინგლის-ირანის ნავთის კომპანიაში.

თეირანი, 27 ივნისი. (საკდესი). ამჟამად ირანის ხელისუფალთა მიერ აბადანში დაკავებულია 9 ტანკერი, აგრეთვე ორი ტანკერი დაკავებულია ბენდერმაშურში, რადგან ამ გემების კაპიტნებმა უარი განაცხადეს მიეცათ ირანის ხელისუფალთათვის ხელწერილები ნავთპროდუქტების ტვირთის მიღებაზე.

ინგლისი ემუქრება ირანს

ლონდონი, 27 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, ინგლისის ხელისუფალნი კვლავ ემუქრებიან ირანს. ინგლისის 8 ათასი ტონა წყალწყვის კრეისერი „მორიშესი" გუშინ შევიდა მდინარე შატ-ელ-არაბის შესართავში, აბადანიდან 40 მილზე.

თეირანი, 28 ივნისი. (საკდესი). როგორც ირანის გაზეთების ცნობებიდან ჩანს, ინგლისის ხელისუფალნი განაგრძობენ მუქარას ირანის მიმართ. გაზეთი „ეთელაათი", ეყრდნობა რა ეგვიპტის პრესის მიერ დამასკოდან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ ინგლისის მე-15 დივიზიამ, რომელიც ტრანსიორდანიაში იმყოფება, მიიღო ბრძანება ერაყის ტერიტორიით გაემართოს სპარსეთის ყურის ზონისაკენ. ტრანსიორდანიის აეროდრომ მაფრაკიდან ინგლისის სამხედრო თვითმფრინავთა დიდი ჯგუფი გაფრინდა „უცნობი მიმართულებით". ეგრეთწოდებული „არაბთა ლეგიონის" ზოგიერთი ნაწილი ერთი კვირის წინათ ტრანსიორდანიიდან დაბრუნდა სპარსეთის ყურის რაიონში.

ლონდონი, 28 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ბასრიდან იუწყება, დღეს 8.000 ტონა წყალწყვის ინგლისის კრეისერი „მორიშესი" აბადანში ჩავიდა.

ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ერევიან ირანის საქმეებში

ახალი ზემოქმედება

ვაშინგტონი, 28 ივნისი. (საკდესი) სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის აჩესონის განცხადება, რომელშიც იგი ეხება ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციას. აჩესონი „იმედს" გამოთქვამს, რომ ირანი გადასინჯავს თავის ახლანდელ მოქმედებას. ამასთან აჩესონი აღნიშნავს, რომ ირანის „ახლანდელი კურსი საშიშია".

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 28 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ ფრონტის ცალკეულ უბნებზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით აწარმოებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს და მძიმე ზარალს აყენებენ ამერიკულ-ინგლისელი ინტერვენტების ჯარებსა და ლისინმანელთა არმიას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

28 ივნისს საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის 5 რეაქტიული ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდეს.

ამერიკელ ინტერვენტთა ბოროტმოქმედება კორეაში

ფხენიანი, 28 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ნოდონ სინმუნი" დღეს იუწყება იმ ახალი ბოროტმოქმედების შესახებ, რაც ამერიკელმა ინტერვენტებმა ჩაიდინეს კორეელი ქალებისა და ბავშვების მიმართ. სეულიდან გამოქცეული მოქალაქე ლი ჯონი მოგვითხრობს, რომ ერთხელ სენგუსანის გორაკზე სენდანდენის უბანში, სადაც მრავალი ლატაკი ცხოვრობს, „ჯიპით" მოვიდა 4 ამერიკელი ჯარისკაცი ლისინმანელის თანხლებით. მათ დანახვაზე 7 წლის ბიჭმა მიაშურა მიწურს. ერთი ამერიკელი დაედევნა მას ყვირილით, „გამოდიო" და მიწურის კარს ტყვიები დაუშინა. გარეთ გამოვიდა ყველა, ვინც მიწურში იყო. ესენი იყვნენ ქალები და ბავშვები. მათ დანახვაზე ლისინმანელმა დაასკვნა, ესენი „წითლები" არიანო. ამერიკელმა თოფის კონდახი დაარტყა თავში მის ახლოს მდგომ ქალს. ქალს ხელიდან გაუვარდა ძუძუთა ბავშვი, რომელიც ატირდა. ამერიკელმა ჯარისკაცმა მუცელში ესროლა ტყვია მტირალ ბავშვს. ამერიკელებმა და ლისინმანელმა შეგროვილ ხალხს ავტომატები დაუშინეს, ბევრი მოკლეს და დაჭრეს.

საბჭოთა კავშირის მსახიობთა წარმატება იტალიაში

რომი, 28 ივნისი. (საკდესი). გუშინ სტალინური პრემიის ლაურეატი ემილ გილელსი გამოვიდა რომის „ელიზეოს" თეატრში გამართულ კონცერტში. პირველ განყოფილებაში გილელსმა შეასრულა მოცარტის სონატა დო მინორი, სკარლატის 2 სონატა, ბეთჰოვენის „აპასიონატა". მეორე განყოფილება მთლიანად მიეძღვნა პროკოფიევის საფორტეპიანო ნაწარმოებებს. ხალხი, რომლითაც გაჭედილი იყო თეატრი, ოვაციებით შეხვდა საბჭოთა პიანისტს, რომელიც იძულებული გახდა მრავალჯერ გამოსულიყო საზოგადოების თხოვნით და დამატებით შეესრულებინა ორი მუსიკალური ნაწარმოები. კონცერტს დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი კოსტილევი და დედაქალაქის მუსიკალური და მხატვრული საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

ვილსონის გამოსვლა ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 28 ივნისი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში ნედლეულის ახალი სამინისტროს შექმნის საკითხზე გამართულ კამათში გამოვიდა ვაჭრობის ყოფილი მინისტრი ვილსონი, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ამერიკელების სიხარბე ნედლეულის მიმართ და აღნიშნა, რომ ამით ისინი საფრთხეს უქმნიან დასავლეთის ყველა ქვეყნის ეკონომიკას.

თავის გამოსვლაში ვილსონმა განაცხადა, რომ ამერიკელებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან გააქვთ ნედლეული და აბრკოლებენ ინგლისისა და სხვა ქვეყნებისათვის ნედლეულის მიწოდებას.

ამერიკის პრესა ი. ა. მალიკის განცხადების შესახებ

ნიუ-იორკი, 27 ივნისი. (საკდესი). ი. ა. მალიკის წინადადება კორეაში ომის შეწყვეტის შესახებ ფართო მხარდაჭერას პოულობს ამერიკის შეერთებულ შტატებში კონსერვატიულ ელემენტებს შორისაც კი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, წარმომადგენელთა პალატის წევრმა, რესპუბლიკელმა პოტერმა (მიჩიგანის შტატი) განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლოთ დათანხმებულიყვნენ, რომ ომი შეწყდეს 38-ე პარალელზე, რამდენადაც „ჩვენთვის, ეტყობა, არავითარი იმედი არ არსებობს, რომ გამარჯვებას მოვიპოვებთ ამ ომში".

წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა დემოკრატმა მენსფილდმა (მონტანის შტატი) აზრი გამოთქვა აგრეთვე ცეცხლის შეწყვეტის სასარგებლოდ.

გაზეთი „კლივლენდ ნიუსი" აგრეთვე ემხრობა ცეცხლის მალე შეწყვეტას და წერს: „რაც უნდა მოხდეს, არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი იმ ცდას, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება კორეაში ომის მალე შეწყვეტის შესახებ".

„დეილი კომპასი" გმობს იმათ, ვინც ყოყმანობს, მიიღოს თუ არა ი. ა. მალიკის წინადადება.

„ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველი ბოლდუინი ფიქრობს, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტა სასურველია ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაზრისით.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საინფორმაციო სამსახურის ცნობა

პრაღა, 28 ივნისი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საინფორმაციო სამსახურმა გუშინ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა ჟოლიო-კიურიმ აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა წარმომადგენელს, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს ი. ა. მალიკს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლის ვიზა ვერ მიიღო იმ დელეგაციის ვერც ერთმა წევრმა, რომელსაც მშვიდობის მსოფლიო საბჭო გზავნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამასთან დაკავშირებით ჟოლიო-კიურიმ სთხოვა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს ი. ა. მალიკს მიიღოს ამ დელეგაციის ამერიკელი წევრები პოლ რობსონი და უ. ეპშტეინი, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან.

ამავე დროს ჟოლიო-კიურიმ სთხოვა რობსონსა და ეპშტეინს იკისრონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე მალიკი, რათა ამრიგად შეასრულონ დელეგაციის მისია.

შემდეგ, ცნობაში ნათქვამია, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ 1951 წლის [illegible] ... სხვა რეზოლუცია და თავისი აზრი გამოთქვას მათ შესახებ;

2. დაუბრუნდეს იმ როლს, რომელიც მას დააკისრა წესდებამ, და იყოს მთავრობებს შორის შეთანხმების ადგილი და არა ამა თუ იმ გაბატონებული ჯგუფის იარაღი.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ი. ა. მალიკმა, ნათქვამია ცნობაში, ჯერ კიდევ 19 ივნისს უპასუხა ჟოლიო-კიურის დეპეშით, რომლითაც აცნობა მას, რომ მზად არის მიიღოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია ნიუ-იორკში 25-დან 27 ივნისამდე. როგორც ცნობილია, დელეგაციაში შედიან შემდეგი პირები: პიეტრო ნენი (იტალია), ნიკოლოზ ტიხონოვი (სსრ კავშირი), ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერი (საფრანგეთი), პოლ რობსონი (ამერიკის შეერთებული შტატები), ჯესი სტრიტი (ავსტრალია), გაბრიელ დ'არბუსიე (შავი აფრიკა), ატალი (ინდოეთი), დივისი (დიდი ბრიტანეთი), პაბლო ნერუდა (ჩილე), პროფესორი იოჟეფ გრომადკა (ჩეხოსლოვაკია), იზაბელი ბლუმი (ბელგია), უ ია-ცუნი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), ერიბერტო ხარა (მექსიკა) და ეპშტეინი (ამერიკის შეერთებული შტატები).

ჟოლიო-კიურიმ აცნობა დელეგაციის წევრებს [illegible]

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარმატება ნაწილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში

პარიზი, 27 ივნისი. [illegible]

გერმანია-ჩინეთის მეგობრობის ერთობლიობა

ბერლინი, 28 ივნისი. [illegible]

ნიკო ნიკოლაძის მუზეუმის გახსნა დიდჯიხაიშში

სამტრედიის რაიონის სოფელ დიდჯიხაიშში მოეწყო ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის სახლი-მუზეუმი, ხოლო მუზეუმის წინ ეზოში დაიდგა მოქანდაკე დ. ჩხეიძის მიერ შესრულებული ნიკო ნიკოლაძის ბიუსტი.

ნიკო ნიკოლაძის მუზეუმისა და მისი ცხოვრების და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენის საზეიმო გახსნა მოხდება დიდჯიხაიშში 1 ივლისს, დღის 12 საათზე.

„ჩაქრული ქვები"

გორის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი

გუშინ, 29 ივნისს, გორის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა თავისი საგასტროლო რეპერტუარის უკანასკნელი სპექტაკლი—ილო მოსაშვილის „ჩაქრული ქვები".

სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ყუშიტაშვილმა, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ასკურავამ. მუსიკალური მონტაჟი ეკუთვნის ი. აიროშს.

მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. ზერხეულიძე, მსახიობები ს. კალანდარიშვილი, ქ. ბოჭორიშვილი, ნ. ბერიძიშვილი, ნ. მიქელაძე, ვ. ცხვარიაშვილი, მ. ზახტაძე, რ. ცაბაძე, ი. ოსაძე, ალ. იმერლიშვილი, სტ. გრიქუროვი, ე. არაქელოვი, თ. კოპტანაშვილი, ვ. გაბისიანი, ა. ჩრდილელი, ბ. ლონდაძე, რ. მამისთვალოვი, გ. ბასიშვილი და ო. დათუნაშვილი.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში

2 ივლისს საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა მართავენ კონფერენცია-დისპუტს [illegible]

ბათუმის სახელმწიფო თეატრის გასტროლები ქუთაისში

ქუთაისი. [illegible]

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

1 ივლისს

[illegible]

1951 წლის 2 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში (რუსთაველის პროსპექტი № 2) შედგება მედიცინის მუშაკთა ქალაქის აქტივის კრება, მიძღვნილი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მედიცინის მუშაკთა ფილიალის 1950-51 სასწავლო წლის დამთავრებისადმი.

[illegible]